

2
726 ა/8492

სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა
№ 19 (324) გამოცემის მე-17 წელი
(1973 წლის ოქტომბერი





სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ა. პ. კ ი რ ი ლ ე ნ კ ო ხალხთა მეგობრობის ორდენს ამაგრებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშაზე

ძმობის ზეიმი ქართულ მიწაზე!

ხალხთა ძმობის ერთიან, ურღვევ ოჯახში ჭეშმარიტად გაიფურჩქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ მტკიცედ დარაზმული მშრომელები სულ ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, განათლების განვითარებაში.

კომუნისტურ მშენებლობაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წვლილი ღირსეულად დააფასა ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ. რესპუბლიკის დროშას სამი ორდენი ამშვენებს. 5 ოქტომბერს იგი საზეიმოდ დამშვენდა სამშობლოს კიდევ ერთი ჯილდოთი — **ხალხთა მეგობრობის ორდენით.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ორდენის გადაცემას, შეიკრიბნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავენი.

სხდომის გახსნისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გიორგი ძოწენიძემ** აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი სამშობლოს ჯილდო მიიღეს დიდი სიხარულით, კომუნიზმის საქმისადმი, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობით.

დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები, დარბაზში შემოაქვთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა.

სხდომის საპატიო პრეზიდიუმში საზეიმო სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვანი ტაშის გრიალით აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის** მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ანდრეი კირილენკოს.**

პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ანდრეი კირილენკო გულითადად ულოცავს შეკრებილთ და მათი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელს შესანიშნავ ჯილდოს — ხალხთა მეგობრობის ორდენს, რითაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის დაარსებასა და განმტკიცებაში დამსახურებისათვის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის ძმური მეგობრობის სამარადჟამოდ აღზევებისათვის, კომუნისტური მშენებლობის საქმეში დიდი წვლილის შეტანისათვის.

— თბილისში რომ მოვდიოდი, — თქვა ანდრეი კირილენკომ, — მე მივიღე კიდევ ერთი დავალება, რასაც სიხარულით ვასრულებ. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მთხოვა თქვენთვის გადმომეცა მისი პირადი მოლოცვა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით და მესურვა საქართველოს კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის ახალი დიდი წარმატებები ჩვენი დიადი სამშობლოს სასიკეთოდ შრომაში და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

> **საქართველო რომ აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა, ეს ქართველი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის დამსახურებაა, აფხაზების, ოსების დამსახურებაა, ყველა ეროვნების მშრომელთა დამსახურებაა, რომლებიც თქვენს რესპუბლიკაში ცხოვრობენ და შრომობენ.**
>
> **ლეონიდ ბრეჟნევი**

თქვენთან ერთად ყველა საბჭოთა ადამიანს გულწრფელად გაახარებს, რომ დღეიდან თქვენი სახელოვანი რესპუბლიკის დროშაზე, ლენინის ორი ორდენისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გვერდით, იბრწყინებს ხალხთა მეგობრობის ორდენიც, რაც განსაკუთრებული სიბრძნით არის აღსავსე — იგი სიმბოლოა ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ჭეშმარიტი გამარჯვებისა!

ეკონომიკასა და კულტურაში, ადამიანების სულიერ სრულქმნაში მიღწეული გრანდიოზული წარმატებები სამშობლოსი შედეგია იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ცხოვრობენ, შრომობენ და ჰქმნიან როგორც ძმები, როგორც ერთიანი სოციალისტური ინტერნაციონალური ოჯახი, როგორც ერთიანი საბჭოთა ხალხი. ამიტომაც არის, რომ ყოველი ჩვენი რესპუბლიკა დამსახურებულად ამაყობს თავისი მონაწილეობით დიად შემოქმედებითს შრომაში — კომუნიზმის მშენებლობაში.

საქართველოს მშრომელებმა, ყველა ჩვენი ხალხის, უპირველესად კი დიდი რუსი ხალხის, ძმური დახმარებით, ისტორიულად მოკლე ვადაში შექმნეს მძლავრი თანამედროვე ინდუსტრია, ძირფესვიანად გარდაქმნეს სოფლის მეურნეობა, მიაღწიეს დიად წარმატებებს მეცნიერებისა და სოციალისტური კულტურის განვითარებაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი ათასზე მეტი საწარმო. მათ შორის დიდი მეტალურგიული და ქიმიური ქარხნები ქალაქ რუსთავში, მარგანეცის მადნის მოპოვების საწარმოთა კომპლექსი, ქუთაისის საავტომობილო, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნები, გორის ბამბეულის კომბინატი და სხვა. ამჟამად რესპუბლიკაში ოთხი დღის განმავლობაში იმდენივე სამრეწველო პროდუქცია იქმნება, რამდენსაც რევოლუციამდე მთელი წლის მანძილზე აწარმოებდნენ.

დღეს საქართველო აწარმოებს სამაგისტრალო ელმავლებსა და სწრაფმფრენ თვითმფრინავებს, სატვირთო ავტომობილებსა და წყალქვეშაფრთიან საზღვაო გემებს, ლითონმჭრელ ჩარხებსა და კოშკურა ამწევებს, მინერალურ სასუქებსა და ქიმიურ ბოჭკოს, ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს, ზუსტ ხელსაწყოებსა და ათობით სხვა რთულ სამრეწველო ნაკეთობას. ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველ კუთხეში დიდი მოწონებით სარგებლობს ქართული ხილი და ჩაი, ღვინო და თამბაქო.

საქართველოს სოციალისტური სახალხო მეურნეობა არის კომპლექსი ყველაზე თანამედროვე დარგებისა, მას დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის საკავშირო ეკონომიკაში.

საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ერთობისა და მეგობრობის განმტკიცებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი საქმიანობა. განუხრელად ასრულებს რა ლენინის ანდერძს, პარტია თვალისჩინივით უფრთხილდება და განამტკიცებს ამ მეგობრობას — სოციალიზმის ერთ-ერთ უდიადეს მონაპოვარს.

ცხადია, ჩვენს ქვეყანაში ერთაშორისი ურთიერთობა განუწყვეტლივ ვითარდება. ეს არის ცოცხალი, დიალექტიკური პროცესი. პარტია გულმოდგინე მუშაობას ეწევა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის განსამტკიცებლად, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის ყოველმხრივი აყვავებისა და თანდათანობით დაახლოების უზრუნველსაყოფად. როგორც ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, „პარტია კვლავაც აღზრდის ყველა მშრომელს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ყოველგვარი ფორმის ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, ეროვნული შეზღუდულობისა და ყოყოჩობის გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ყველა ერისა და ეროვნების ღრმა პატივისცემის სულისკვეთებით".

პარტიის ამ ხაზის თანამიმდევრული განხორციელება ნაყოფიერ გავლენას ახდენს კომუნიზმის მშენებელი ჩვენი სამშობლოს

(დასასრული მე-2 გვ.).

ძმობის ზეიმი ქართულ მიწაზე!

(დასასრული).

ყველა ხალხის მონოლითური ერთიანობის შემდგომ განმტკიცებაზე.

ანდრეი კირილენკო შემდეგ შეჩერდა ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის იმ სამუშაოთა შესრულების ზოგიერთ შედეგზე, რაც დასახულია პარტიის XXIV ყრილობის მიერ კომუნისტური მშენებლობის გეგმების განსახორციელებლად, კერძოდ, მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ამოცანათა განსაზღვრისათვის.

— საბჭოთა საქართველოს წარმატებებში, — თქვა მან, — რომლებიც ღირსეულად აღინიშნა ხალხთა მეგობრობის ორდენით, დიდი დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის კომუნისტებს, პარტიულ ორგანიზაციებს. საქართველოს კომუნისტური პარტია არის ჩვენი ლენინური პარტიის ერთ-ერთი დიდი საბრძოლო რაზმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთგული და საიმედო დასაყრდენი. მას ჰყავს პოლიტიკურად მომწიფებული, გამოცდილი კადრები, რომელთაც შეუძლიათ მარჯვედ გადაწყვეტონ კომუნისტური მშენებლობის რთული ამოცანები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი განუწყვეტლივ ზრუნავს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, მათი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომუნისტთა აქტივობის განვითარებისათვის.

ამ ზრუნვის ერთ-ერთი გამოვლინება იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. იგი თავიდან ბოლომდე მიზნად ისახავს იმას, რომ ყოველმხრივ გააძლიეროს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა, აამაღლოს იგი თანამედროვე მოთხოვნებისა და ამოცანების დონემდე.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა დიდად მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება, როგორც XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის კონკრეტული პროგრამა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დადებითად აფასებს დიდსა და მრავალმხრივ მუშაობას, რასაც ამჟამად ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მისი ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სავსებით უჭერს მხარს ღონისძიებებს, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, კადრების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, იდეოლოგიური მუშაობის გასაძლიერებლად, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღმოსაფხვრელად.

ანდრეი კირილენკომ საგანგებო ყურადღება მიაქცია შრომითი დისციპლინის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობას.

— როგორც მოგეხსენებათ, — თქვა მან, — ამას წინათ, ტაშკენტში გამოსვლისას, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მთელი ძალით გაუსვა ხაზი ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის აქტუალობას. ამ მითითებებს პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ თქვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობასთან და ისინი მათი ყოველდღიური ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ანდრეი კირილენკო დაწვრილებით შეჩერდა საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხზე, ილაპარაკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური, ინიციატივიანი პოლიტიკის შესახებ, რაც მიმართულია დაძაბულობის შენელებისაკენ, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისაკენ.

— თქვენ იცით, — თქვა მან, — რომ ხალხთა მეგობრობის ორდენით ჩვენში დამსახურებულად დაჯილდოვდა ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და ეროვნული ოკრუგი. სოციალისტურის გარდა, არც ერთ სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ურთიერთობებში არ შეიძლება ასეთი მაღალი ნდობა და ასეთი ურთიერთპატივისცემა ჰქონდეს, როგორიც ჩვენშია. ეს ჩვენი ლენინური პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს ძალისხმევის შედეგია. ეს ჩვენი ხალხების ბრძოლის ნაყოფია.

ანდრეი კირილენკომ საგანგებო ყურადღება მიაქცია ეროვნული კადრების მომზადებისა და გამოყენების საკითხებს, ხაზი გაუსვა ამ საქმეში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობას.

— ჩვენ, — თქვა მან დასასრულს, — დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჯილდო აღფრთოვანებს საქართველოს მშრომელებს ახალი საქმეებისა და წარმატებებისათვის კომუნისტურ მშენებლობაში.

ანდრეი კირილენკოს მრავალგზის შეაწყვეტინა სიტყვა მჭუხარე ტაშის გრიალმა.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ედუარდ შევარდნაძე.**

— საბჭოთა საქართველო, — თქვა მან, — ხალხთა მეგობრობის ორდენს იღებს ისეთ პერიოდში, როცა რესპუბლიკაში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა პარტიის XXIV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამ პროცესის თავისებურებას რესპუბლიკაში განსაზღვრავს ისიც, რომ იგი მიმდინარეობს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების რეალიზაციის ნიშნით. ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას დიდი მადლობით და გულთბილად შეხვდა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ამ დადგენილების კეთილისმყოფელი გავლენა უკვე იგრძნობა საბჭოთა საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში.

ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის საყვარული და აღიარება არის! ამ უმაღლეს ჯილდოს — თავიანთ სიყვარულს, პატივისცემასა და ერთგულებას უძღვნიან საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელნი ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს იმისათვის, რომ ლენინური კურსით მიუძღვებიან ჩვენს ქვეყანას კომუნიზმისაკენ.

შეეხო რა ანტისაბჭოური პროპაგანდის საკითხებს, ედუარდ შევარდნაძემ თქვა:

— იმპერიალისტური პროპაგანდის საზღვარგარეთული ცენტრები გაცხოველებით აშუქებენ საბჭოთა საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებას. ამ ცხოვრებას ისინი მრუდე სარკეში ხედავენ. მათ არ ეპატნაჟებათ ჩვენი მეგობრობა სსრ კავშირის ხალხებთან.

ხალხთა მეგობრობის ორდენით რესპუბლიკის დაჯილდოება მათ უკვე უკუღმართად განმარტეს. როგორც ჩანს, დღევანდელი ზეიმი ასევე გააცოფებს და ააყმუვლებს მათს ბოროტს.

ეს გასაგებიც არის, რადგან საზღვარგარეთის იმპერიალისტურ პროპაგანდისტულ ცენტრებში მოკალათებული არიან ხალხის ყველა ჯურის მტრები, ცილისმწამებლები, რომლებიც ყველაზე მდარე ანტისაბჭოურობაზე არიან „დახელოვნებული“.

მაგრამ, როგორც იტყვიან — ძაღლი ყეფს, ქარავანი თავისი გზით მიდის.

რამდენიც უნდა გაიჭაჭონ და იყვირონ ხმის ჩახლეჩამდე და გორების დაბნელებამდე ყველა ამ სახაროვებმა, სოლჟენიცინებმა, ჩალიძეებმა, იაკირებმა და ძმანმა მათმა, ბურჟუაზიულ ცხოვრების წესის ამოლოგეტებმა და ჩვენი საზოგადოების ყველა ჯურის ანტიპოდებმა, რაც უნდა თქვან, სიმართლე ჩვენს მხარეზეა! ჩვენ ლენინური სიმართლით ვცხოვრობდით და ვიმარჯვებდით. ამას ეყრდნობოდა და ეყრდნობა მთელი რუსეთი, მთელი საქართველო, მთელი საბჭოთა ქვეყანა! ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მოგვწონს ეს ატმოსფერო და ეს სიმართლე, ბიჭი ძვირფასია ჩვენთვის, ვინაიდან ჰეშმარიტია და მოპოვებულია ახალი სამყაროსათვის, კომუნიზმისათვის მილიონობით მებრძოლის სისხლისა და სიცოცხლის ფასად. და არავის არ მივცემთ უფლებას შებღალოს ჩვენი ხალხის დასაფიცარი სიწმინდე.

რა თავისუფლებაზე ლაყბობთ თქვენ, ბატონებო?

თქვენ, ბურჟუაზიულ თავისუფლებათა ლაქიები, ვერასოდეს ვერ გაიგებთ ჰეშმარიტი თავისუფლების ყადრს. ქვეშმრომად დაბადებულს ფრენა არ ძალუძს!

თქვენი თავისუფლება — ეს არის ძარცვა-გლეჯის, ხოცვა-ჭლეტის თავისუფლება, გადაწვა-გადაბუგვის და დათრგუნვის თავისუფლება, დამონებისა და განადგურების თავისუფლება!

ეს თქვენ სულ ცოტა ხნის წინ, როგორც აქ სავსებით სწორად თქვა ანდრია პავლეს ძე კირილენკომ, დაამტკიცეთ კიდევ ერთხელ ჩილეში სისხლიანი ფაშისტური პუტჩით. აი სად გამოჩნდა თქვენი თავისუფლებისა და დემოკრატიის მხეცური სახე.

ჩვენ ასეთი თავისუფლების წინააღმდეგი ვართ!

ჩვენთვის თავისუფლება არის არა განყენებული აბსტრაქცია და არა ანარქია, არა თავდავიწყებამდე ლაყბობა ყველაფერზე და არაფერზე, არამედ ადამიანთა ცივილიზაციის, ადამიანის ინტელექტის დიადი მონაპოვარი.

ჩვენთვის თავისუფლება — ეს არის შეცნობილი აუცილებლობა. ასე ესმოდა იგი მარქსს, ასე გვესმის იგი ჩვენც, XX საუკუნის 70-იანი წლების მარქსისტ-ლენინელებს, კომუნისტებს. ჩვენში თავისუფლება კომუნისტურია. ჩვენში ყველა ხალხსა და ერს აქვს სრული თავისუფლება, მეგობრობის, ძმობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთპატივისცემის სრული თავისუფლება.

ჩვენ ამაყად ვამბობთ: გაუმარჯოს ასეთ თავისუფლებას!

მოგწონთ თუ არა თქვენ, ბატონებო, ეს ჩვენი პრინციპია, და კარგად მოგეხსენებათ, თუ რა თავდადებით შეუძლიათ კომუნისტებს იბრძოლონ თავიანთი ცხოვრების პრინციპებისა და იდეალებისათვის.

ჩვენ გვინდა, — განაგრძო ორატორმა, — საბჭოთა საქართველო გადავაქციოთ კიდევ უფრო მაღალგანვითარებულ და მაღალკულტურულ რესპუბლიკად, რომ იგი კვლავაც ღირსეულად ამ შვენებდეს საბჭოეთის მომძე რეს პუბლიკათა უჩქნობ თანავარსკვლავედს! ჩვენი საბრძოლო დევიზია: გადავაქციოთ საბჭოთა საქართველო სანიმუშო კომუნისტურ რესპუბლიკად! და ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომპარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მეზრძოლი რაზმი—საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეგობრობასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით, ღირსეულად გაართმევს თავს ამ ისტორიულ ამოცანას!

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კომუნისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები არაფერი არ ეწინააღმდეგება ხალხთა უროვნულ ინტერესებს, არამედ, პირიქით, ისინი ჰარმონიულად ავსებენ ერთმანეთს, სწორედ ინტერნაციონალიზმია ყველა ხალხის ეროვნული ინტერესების გაბარჯვების ერთადერთი გარანტია. ქართველი ხალხის ინტერნაციონალური ბუნება, შრომის მოყვარეობა მისი დღევანდელი და მომავალი წარმატებების გარანტიად მიგვაჩნია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მომხსენებელმა ხუთჟვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად მის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველო მარად იქნება ხალხთა შორის ლენინური მეგობრობის მტკიცე ფორპოსტი.

კომუნისტური პარტიისადმი და საბჭოთა სახელმწიფოსადმი სამშობლოს მაღალი ჯილდოსათვის მგზნებარე მადლობის სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობი-ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი **ვლადიმერ ასათიანი,** ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი **ვალიკო მეუნარგია,** აკადემიკოსი **ვიქტორ კუპრაძე,** თბილისის 153-ე საშუალო სკოლის დირექტორი **ვალენტინა კულიკოვა.**

მათ ხაზი გაუსვეს, რომ კომუნისტურ მშენებლობაში არნახულ წარმატებებს საქართველომ მიაღწია საბჭოთა ყველა ხალხების დახმარებითა და მხარდაჭერით. ორატორებმა პირობა დასდეს, რომ რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ერთგულნი არიან საბჭოთა ხალხის რევოლუციური და შრომითი ტრადიციებისა, კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ, ძალასა და ღონეს არ დაიშურებენ პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსადმი.

რესპუბლიკის მშრომელები სამშობლოს უპატაკებენ

მეჩაიეთა ნოგბათი

წლეულსაც კარგად იშრომეს საქართველოს მეჩაიეებმა. ძალზე არახელსაყრელი ამინდის პირობებში მათ საუკეთესოდ მოუარეს პლანტაციებს, მაქსიმალურად გამოიყენეს ჩაის კრეფის სეზონის თვითეული წუთი და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს — 5 ოქტომბრისათვის სამშობლოს მისცეს **285.000 ტონა** ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც მეჩაიეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ივალდებულეს. ეს არამარტო მნიშვნელოვნად აღემატება სახელმწიფო გეგმას, არამედ ჩაის ფოთლის ეს რაოდენობა რესპუბლიკაში პირველად დამზადდა.

9 თვის გეგმა გადაჭარბებით

საქართველოს მრეწველობამ 24 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის 9 თვის გეგმები.

გეგმის გადამეტებით რეალიზებულია **110 მილიონი** მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ამასთან, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 6 პროცენტამდე, ხოლო შრომის ნაყოფიერება 5 პროცენტით გაიზარდა.

მეცხოველეებმა თავი ისახელეს

ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეებმა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების 9 თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. მათ 9 თვეში შარშანდელ 9 თვესთან შედარებით სახელმწიფოს 8 პროცენტით მეტი რძე, 41 პროცენტით მეტი კვერცხი და 10 პროცენტით მეტი ხორცი მიჰყიდეს. მათ შორის მნიშვნელოვნად გაზარდეს ძროხის, ღორისა და ფრინველის ხორცის წარმოება.

ეხლა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფერმების მუშაკები იმისათვის იბრძვიან, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების წლიური გეგმები ვადამდე შეასრულონ. ამასთან, ფერმები სანიმუშოდ მოამზადონ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის და ზამთარშიც შეინარჩუნონ პროდუქტების წარმოების ზაფხულის დონე.

მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია **გრიგოლ აბაშიძე.**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად არჩეულია **თენგიზ ბუაჩიძე.**

მდივნებად არჩეული ა[illegible] ან: **ნოდარ დუმბაძე, იოსებ ნონეშვილი, ბესარიონ ჟ[illegible] ნტი.**

პლენუმის მუშაობაში მ[illegible] ნაწილეობდნენ საქართ[illegible] ლოს კომპარტიის ცენტ[illegible] ლური კომიტეტის მდივ[illegible] ვიქტორია სირაძე და სა[illegible] რთველოს კომპარტიის [illegible] ტრალური კომიტეტის [illegible] ლტურის განყოფილების მგე **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.**

თბილისო, ფრთები გაშალე!

ოცდაათწლეულმა ვაჟკაცმა გაიხარა, ჯანიაშვილმა, დედაქალაქს რომ უახლოვდებოდა, შესძახა:

„თბილისო, ფრთები გაშალე,
მთავ, ჯანღი გადიყარეო,
გიბრუნდებიან შვილები,
საშობლოვ, გაიხარეო“.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. სამამულო ომის მრისხანე დღეები ისტორიის კუთვნილებად იქცა. ნაომარი ვაჟკაცები მშობლიური ქვეყნის აღმშენებლობას შეუდგნენ და იმ ქართველი მეომრის ოცნებაც აღსრულდა — ჩვენმა დედაქალაქმა მძლავრად გაშალა ფრთები, ძველ საზღვრებს კარგა ხანია გადაბიჯა...

მშენებლობა განსაკუთრებით დიდი მასშტაბით გაიშალა უკანასკნელ ათწლეულში. საქმე ის არის, რომ მრეწველობის არნახული ტემპით განვითარებამ დედაქალაქის მოსახლეობის ზრდა გამოიწვია და არსებული საბინაო ფონდი ველარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას. დედაქალაქის მოსახლეობა კვლავ მრავლდება. მაგალითად, თუ დღეს თბილისში მილიონამდე მცხოვრებია, 2000 წლისათვის მათი რიცხვი 250 ათასით გაიზრდება.

საგულისხმოა ისიც, რომ თბილისის დღევანდელი ცენტრი ველარ უპასუხებს მსხვილი ქალაქის გაზრდილ მოთხოვნილებებს, მაგრამ აქ მისი ტერიტორიული განვითარების პერსპექტივა აღარ არის, რადგან დედაქალაქის ცენტრი ერთი მხრივ მდინარე მტკვრით არის შემოსალტული, მეორე მხრივ გაშლისა და გაფართოების საშუალებას არ აძლევს ნახევრად შემორკალული სოლოლაკის ქედი, მამადავითის მთა და ლისის ტბის ზეგანი. ამიტომ თბილისის ცენტრის განაშენიანების ძირითადი ბირთვი მტკვრის მარცხენა მხარეს, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე იწაცვლებს. აქ განლაგდება ადმინისტრაციული და სავაჭრო ორგანიზაციების შენობები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კულტურის სახლები, კინოთეატრები, სასპორტო კომპლექსები.

თბილისის განვითარების ახალი გენერალური გეგმით დიდი საცხოვრებელი უბნების მშენებლობა ჭრის გათვალისწინებული ავჭალა-გლდანის მასივში, ვაშლაჯვარის, ავშნიანის, საჯეირნოს, მახათას პლატოსა და ვარკეთილის მიდამოებში; ამავე მიზნისათვის გამოიყენებენ აგრეთვე საბურთალოსა და ლოტკინის გორის ფერდობებს, რომელნიც სამეურნეო თვალსაზრისით გამოუსადეგარნი არიან.

თბილისის ზღვის გარშემო ტერიტორიაზე აგებულ სახლებში 400 ათასი კაცი იცხოვრებს. საბინაო მშენებლობის ტემპი ყოველ წელიწადს კიდევ უფრო გაიზრდება და მარტო 1980 წელს თბილისში 4,5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი აშენდება. ახალ უბნებს 9, 12 და 16-სართულიანი სახლები დაამშვენებს. ამრიგად, 2000 წლისათვის თბილისი 30 ათას ჰექტარზე გაშლის ფრთებს. ამასთან, ქალაქის ძველი ნაწილი კიროვის სახელობის რაიონში შენახული და დაცული იქნება როგორც თავისებური ისტორიულ-არქიტექტურული ნაკრძალი, როგორც ძველი თბილისის ამსახველი ქალაქ-მუზეუმი. თბილისისა და ქალაქ რუსთავის გარშემო უკვე იქმნება დიდი ცოცხალი მწვანე ზოლი, რომელიც სუფთა ჰაერითა და დასვენების ზონებით უზრუნველყოფს ამ ორივე ქალაქის მოსახლეობას.

თბილისის ახალ საცხოვრებელ უბნებს შორის თავისებური სილამაზითა და შინაარსით გამოირჩევა გლდანის საცხოვრებელი მასივი. მისი პირველი რიგის მშენებლობა 1970 წელს დაიწყო, დასასრულს უახლოვდება პირველი და მეორე მიკრორაიონების მშენებლობა, სადაც 24.000 კაცი იცხოვრებს, ხოლო ამ მასივში მთლიანად 120.000 კაცი იზეიმებს ახალსახლობას.

გლდანის დასახლების ძირითადი თავისებურება ის არის, რომ აქ შეიქმნება უხმაურო საცხოვრებელი უბნები, სადაც სამუშაოდან დაბრუნებული ადამიანები ლაზათიანად დაისვენებენ. ამ დასახლების პროექტი შექმნა „თბილქალაქპროექტის“ არქიტექტორმა ბორის ოდიშარიამ.

— თბილისის სხვა ახალ საცხოვრებელ უბნებთან შედარებით, — გაგვაცნო ოდიშარიამ, — გლდანის მასივში პირველად გამოყენებულია ხაზოვანი ცენტრის სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ რაიონის დასახლების ცენტრში გაყვანილია ტრანსპორტის სამოძრაო წრიული გზა, რომელიც მასივის საცხოვრებელი დონიდან 3,5-4 მეტრით არის დაბლა დაწეული. გზის გვერდზე გაყვანილი თხრილების ორსავე ფერდობზე მწვანე ნარგავთა ზოლი გაშენდება. ეს დაახშობს ტრანსპორტის ხმაურს და ის საცხოვრებელ სახლებამდე ველარ მიაღწევს. გზის სავალ დონეზე აიგება საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სასაწყობო შენობები. ტრანსპორტის გაჩერებებთან გზის ერთი მხრიდან მეორე მხარეს ადამიანი გადავა ზედა ხიდებით, ისე რომ ფეხით მოსიარულე არასოდეს გადაკვეთს ტრანსპორტის სამოძრაო ნაწილს.

წრიული გზის შუაზე დარჩენილი 100 მეტრი სიგანისა და 5 კილომეტრის სიგრძის ტერიტორიაზე არ იქნება საცხოვრებელი სახლები. აქ მხოლოდ საწარმოო დანიშნულების შენობები განლაგდება. წრიული მაგისტრალური გზა ჩავა ხევძმარაზე და ქალაქის მაგისტრალების მთავარ მკვებავ არტერიას შეუერთდება, ხოლო დასახლების შიგა გაყვანილობის გზები ისეა დაგეგმილი, რომ მათზე ავტომანქანა მთავარი გზიდან სპეციალური ამოსასვლელებით ამოვა და მცხოვრებთა მყუდროებას არ დაარღვევს. ამასთან, იგი არ გადაკვეთს ეზოებსა და ბავშვთა სათამაშო მოედნებს. საკუთარი ავტომანქანების გასაჩერებლად ყველა მიკრორაიონს ექნება 100-100 ადგილიანი გადახურული ავტოსადგომი.

გლდანის ახალ მასივს „მთავართბილმშენის“ ბევრი ტრესტი აშენებს. ვესაუბრეთ მე-15 ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს უფროსს ოთარ ორაგველიძეს. ამ სამმართველოს 1970-1971 წლებში ვადაზე ადრე და ხარისხიანად შეუსრულებია გეგმები. მშენებლობისადმი უნარიანი ხელმძღვანელობისათვის საბჭოთა მთავრობამ ორაგველიძე ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვა.

— ჩვენმა მუშებმა, — გვითხრა ორაგველიძემ, — წლეულსაც სასახელოდ იშრომეს. გასულ 8 თვეში 24.232 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადასცეს საექსპლუატაციოდ და მშენებლობის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ჩვენს მიერ აშენებულ სახლებში 594-მა ოჯახმა იზეიმა ახალსახლობა.

მშენებელთა უბნებს შორის დაწინაურდა გიორგი ჩხაიძის სამშენებლო უბანი, რომლის აშენებული სახლები მხოლოდ საუკეთესო ხარისხისაა და ახალმოსახლეთა გულთბილ მადლობას იმსახურებს.


იაკობ კვიჭიძისა და თენგიზ ებანოიძის მებეტონეთა უბნები მკვიდრად აშენებენ კედლებს და ლამაზ ფორმას აძლევენ, რისთვისაც ბევრჯერ დაუმსახურებიათ ჯილდოები. საერთოდ, სამმართველოში მოწინავე მუშა ბევრი გვყავს, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა...

გიორგი გოჩიტაშვილი

თბილისს

იქ, სადაც შენი გულია,
სულ მუდამ გაზაფხულია,
იქ, სადაც შენი მტკვარია,
სიცოცხლე საწუკვარია;
შენი ცა ვარსკვლავმჭენია,
შენი სიცოცხლე ჩემია,
გულში ჩამდგარი ღიმილი
შენი ცის ნავერცხლარია,
ლექსში რომ ცეცხლი ირხევა,
ის შენი ნაკვერცხალია,
იქ, სადაც შენი გულია,
სულ მუდამ გაზაფხულია!


გიორგი ლეონიძე.




სასტუმრო „აჭარა“



დიღომი — მეგობრობის გამზირი



სკვერი რუსთაველის გამზირზე



გლდანის ახალი დასახლების საერთო ხედი

წყალტუბოდან ქუთაის

ეპიზოდი გალაკტიონის ცხოვრებიდან



გალაკტიონი (მარჯვნივ), გიორგი ნატროშვილი და სერგი წულაძე

1958 წლის ივლისი. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. დირექტორის კაბინეტში თათბირია. მოულოდნელად კარი შემოაღო გალაკტიონ ტაბიძემ. რა ნახა, ვთათბირობდით, ბოდიშის მოხდით უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ თითქმის ყველამ ერთად ვთხოვეთ და უარი აღარ გვითხრა, ოთახში შემოვიდა, თან ოდნავ ათრთოლებული ხმით იკითხა, ხელს ხომ არ შეგიშლითო. მუზეუმის დირექტორმა ვანო კაკაბაძემ პოეტი მაგიდასთან მიიწვია — უსაქმოდ არ გაირჯებოდით, რისთვის შეწუხებულხართ, გვიბრძანეთო. გალაკტიონმა მიუგო: — „ბრძანებისა“ რა მოგახსენოთ და თხოვნა კი მაქვს — მინდა ჩემი გამოფენა მოვაწყო ხელოვნების სახლში. შალვა დადიანმა დამითმო ხელოვნების სახლის საგამოფენო დარბაზები, ჩემი პატარა საღამოც მოეწყობა და აი, ამ საქმეში მინდა თქვენი დახმარება. მითხრეს, მუზეუმს გამოფენის მოწყობის გამოცდილი მუშაკები ჰყავს და უარს არ გეტყვიანო.

დირექტორმა მე დამავალა ამ თხოვნის აღსრულება. ამის პასუხად გალაკტიონმა გაიხსენა ჩემი მოხსენება ნიკო ლომოურზე მასწავლებელთა სახლში და შემაქო კიდეც.

ამასობაში შემოვიდა ჩვენი მუზეუმის ფოტოგრაფი ნიკო არჩვაძე და სამახსოვრო სურათები გადაგვიღო, რომელთაგან ერთ-ერთს დღეს პირველად ვაქვეყნებთ.

მე და ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომელი ნინო ჩიხლაძე მეორე დღესვე ვეწვიეთ გალაკტიონს ხელოვნების მუშაკთა სახლში, გავეცანით საგამოფენო ექსპონატებს, ტექსტებს, მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია და თვით გალაკტიონის უშუალო დახმარებით დავიწყეთ საგამოფენო სტენდების გამართვა. ექსპოზიციის მოწყობა სამ დღეს გაგრძელდა. გალაკტიონი ძალზე მხიარულად იყო, საექსპოზიციო მასალებს თვითონ გვიმარჯვებდა და ჩვენთან ერთად კედლებზეც ჰკიდებდა. ბავშვივით უხაროდა, ესა თუ ის საგამოფენო სტენდი რომ დასრულდებოდა, „აპა, ჰე, აპა, ჰე! — შემოგვძახებდა ხალისიანად, — სულ რამდენიმე სტენდი-ღა დარჩა, ალბათ, მალე მოვათავებთ. ხომ იცი, ბიძიკო! — მომმართა მე, — ზეგ ჩემი საიუბილეო საღამოა და გამოფენაც მზად უნდა იყოს, რომ მოწვეულმა სტუმრებმა ნახონ“.

მუშაობით დაღლილებმა სასადილოს მივაშურეთ. გალაკტიონმა თვითონ ინება კერძების მოტანა. წუხდა, ბუფეტში ისეთი არაფერია, რომ ღირსეულად გაგიმასპინძლდეთო. შემოგვთავაზა სხვა-გან წავსულიყავით, მაგრამ ვიუარეთ. გალაკტიონმა გაიხსენა ერთი საინტერესო ეპიზოდი: „მაგონდება, ქუთაისის ბულვარზე ერთად ვიყავით თავშეყრილი ახალგაზრდა პოეტები: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და მე. დილა იყო და პაოლომ თქვა: ბიჭებო, ამ დილით კარგი იქნება ხაში ვჭამოთო... ვისაც აქვს ჩვენში ფული, იმან დაჰპატიუოსო ყველა... მოვიქექეთ ჯიბეები, მაგრამ იმდენი ფული არავის აღმოაჩნდა, რომ ოთხივეს გვესაუზმა. დავლონდით!

ამ დროს, სად იყო და სად არა, თვალი მოვკარით შალვა დადიანს, რომელიც ჩვენკენ მოდიოდა. გაგვეხარდა, შალვა ჩვენთან შედარებით უფრო შემძლე და თანაც უფრო დარდიმანდი იყო.

— გამარჯობათ, ბიჭებო, — შემოგვძახა. ჩვენც ერთხმად მივესალმეთ. — რას დაფიქრებულხართ, ხომ არაფერი გაწუხებთ? —არა, ჩემო შალვა,—უპასუხა პაოლომ, — ოღონდ ხაშის ჭამა მოგვესურვა, მაგრამ ჯიბეში არავის აღმოგვაჩნდა საკმაო ფული, რომ სურვილი დაგვეკმაყოფილებინა.

— მოგიკვდეთ შალვა, — გაიკრა ხელი ჯიბეზე, — შალვა დადიანი რაღა დადიანია, თუ მაგ სურვილს ვერ შეგისრულებთ?! წავიდეთ, ბიჭებო, სარდაფში... თვითონ წინ გაგვიძღვა, ჩვენც ავედევნეთ... მაგრამ სადაც შალვამ ჩაგვიყვანა, იქ ხაში უკვე გათავებულიყო... წაგვიყვანა მეორე სახაშეში, მესამეში, მაგრამ ხაში აღარსად იყო. შალვა შეწუხდა... დანაპირებს ვერ ასრულებდა... ერთხანს ჩაფიქრდა, მერე გაიღიმა და კიდევ ერთ სახაშეში წაგვიყვანა. ხაშს იქაც ვეღარ მივუსწარით, სამაგიეროდ კარგი ყაურმა დაგვხვდა და ჩვენც, ჯიბეგაფხეკილ პოეტებს, ისე გვშიოდა, რომ უარს როგორ ვიტყოდით... შალვამ ყაურმასთან ერთად ერთი ბოთლი კონიაკიც მოატანინა, ჭიქაში დაასხა და პირველი ჭიქა პაოლოს მიაწოდა. პაოლომ ჭიქა ჩაართვა და შალვას ექსპრომტად უთხრა:

„ამ ჩვენ შალვა დადიანმა
თუმცა ბევრი გვაურვა,
მაგრამ მაინც გაგვიჩინა
მშვენიერი ყაურმა!“

კონიაკის დალევის ჯერი ტიციან ტაბიძეზე მიდგა, — განაგრძო გალაკტიონმა, — ამანაც პაოლოს მსგავსად აიღო ჭიქა და შალვას ექსპრომტით მიმართა:

„ამ ჩვენ შალვა დადიანმა,
ახოვანმა, მადიანმა,
ისე კარგად დაგვაპურა,
შიშველთ გრძნობა დაგვიამდა“...

ამ მოგონებამ გალაკტიონს დიდი სიამოვნება მოჰგვარა...

დათქმულ ვადაზე გამოფენის გამართვას მოვრჩით. გალაკტიონი აღარ მოგვეშვა და საზაფხულო რესტორანში წაგვიყვანა. ბაღში მყოფმა მოქალაქეებმა, უმთავრესად ახალგაზრდებმა, ჩვენკენ დაიწყეს ყურება. გაისმოდა — გალაკტიონი! გალაკტიონი! — ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და გალაკტიონს სიყვარულით შეჰყურებდნენ. გალაკტიონმა ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, შენიშნა. ბუნებით მორიდებულმა კაცმა ვეღარ გაუძლო ამდენი თვალის ჩვენკენ მზერას და გვთხოვა, სადმე სხვაგან წავსულიყავით. გზაზე სულ გვებოდიშებოდა, რომ სასადილოდ ბაღში მიგვიყვანა... შევედით.

მალე მოვეწყეთ „ინტურისტის“ სამეჯლისო დარბაზში.

სანამ მომტანი დაკვეთილ სადილს მოგვიტანდა, გალაკტიონმა ჯიბიდან კალამი ამოიღო და ქაღალდის ხელსახოცზე სახელდახელოდ რაღაცა ჩახატა... დავინტერესდით, ჩანახატს დავხედეთ და მაშინვე ვიცანით: იოსებ გრიშაშვილის ზუსტი პორტრეტი დაეხატა, ნინომ ჩანახატი გამოართვა და სამახსოვროდ შეინახა... სუფრაზე გალაკტიონი მხოლოდ ლიმონათს სვამდა, შამპანურს არ მიჰკარებია, ექიმებმა ამიკრძალესო...

საღამოს ხელოვნების მუშაკთა სახლში უამრავი ხალხი დაგვხვდა, აივნებიც კი გაევსოთ. გამოფენას ყურადღებით ათვალიერებდნენ და ეტყობოდათ, მოსწონდათ.

ბოლოს იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ კლუბში ტევა აღარ იყო. ამიტომ, გალაკტიონმა შალვა დადიანის რჩევით გადაწყვიტა საღამო გაემართა ხელოვნების მუშაკთა სახლის ფართო ეზოში, სადაც საზაფხულო დარბაზში კინოსურათებს აჩვენებდნენ. ეზოში სწრაფად გაიმართა სახელდახელო ტრიბუნა. მაგრამ ვრცელმა კინოდარბაზმაც ვერ დაიტია გალაკტიონის საღამოზე დასწრების უველა მსურველი.

გალაკტიონის გამოჩენას დარბაზი მჭუხარე ტაშითა და ოვაციით შეხვდა. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ვანო კაკაბაძემ. მოხსენებით გამოვიდა მწერალი გიორგი ნატროშვილი.

იუბილარს სიტყვებით, მოგონებებითა და ლექსებით მიმართეს გალაკტიონის ნიჭის თაყვანისმცემლებმა, მწერლებმა და პოეტებმა. გალაკტიონმა დამსწრეთ მადლობა გადაუხადა და რამდენიმე ლ... ჭკი წაიკითხა. იგი ალტაცებით ს... სცქეროდა ყვავილების დიდ... ლათას, ხილითა და შამპანურ... დახუნძლულ ლამაზ თაიგულ... ამ ყვავილების დიდი ნაწილი ... ლაკტიონმა ნინო ჩიხლაძეს მ... რთვა.

გალაკტიონი დიდად კმაყო... ლი და ნასიამოვნები იყო რ... გორც იმ საღამოთი, ისე გამო... ნით. ბავშვივით ხარობდა, ფო... სურათის მარტო გადაღება ... ისურვა და საღამოს სამახსოვ... სურათები მეგობრებთან ერ... გადაიღო.

...გალაკტიონი სახლამდე ...

ქუთაისის ს... ბიბლიოთეკა 80 ლ...

ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა და ასრულებს წიგნი და წიგნის თარო — ბიბლიოთეკა. დიდია მისი როლი ადამიანების მსოფლმხედველობის შემუშავებასა და მათი კულტურული დონის ამაღლებაში. რითაც უნდა საქმიანობდეს ადამიანი, რომელ სოციალურ-პროფესიულ ფენასაც უნდა ეკუთვნოდეს, წიგნის სიყვარული ყოველთვის თან სდევს, ყველა წიგნს კი, ბუნებრივია, ვერ შეიძენს, ამიტომაც ბიბლიოთეკა მას ეხმარება წიგნით.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც მალე თავისი არსებობის 80 წელს იზეიმებს, წარმატებით ემსახურება მშრომელი ადამიანების იდეურ-კულტურული დონის ამაღლებისა და თვითგანვითარების ქვეთილშობილურ საქმეს.

ბიბლიოთეკის ფონდი 452.518 წიგნსა და 172.024 ჟურნალ-გაზეთის კომპლექტს ითვლის. წიგნთა ფონდი 4 ნაწილისაგან შედგება: ქართული, რუსული, უცხოური და პერიოდული. იგი საინტერესოა არა მარტო რაოდენობით, არამედ იშვიათი და ძვირფასი გამოცემებით. მაგალითად, ბიბლიოთეკის ფონდში დაცულია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლისა და გოეთეს „ფაუსტის“ 1899 წლის გამოცემები. აქვეა დაცული ფრანგულ ენაზე 1699 წელს გამოცემული „პოლონური ანეკდოტები“, ლათინურ ენაზე 1717 წელს გამოცემული ფელეონის „ვენეცია“ და სხვა იშვიათი ნაწარმოებები.

ბიბლიოთეკას აქვს 2 სამკითხველო დარბაზი, რომელიც ერთდროულად 125 მკითხველს იტევს. წლევანდელი წლის 6 თვეში ბიბლიოთეკა 6.279 მკითხველს მოემსახურა და 134.188 წიგნი გასცა, ხოლო შარშან ამ ციფრებმა შესაბამისად 9.422-სა და 232.016-ს მიაღწია.

ბიბლიოთეკაში წიგნის პროპაგანდის საკითხი კარგად არის დაყენებული. აქ სისტემატურად ეწყობა ახალი წიგნების გა... განხილვას, მკითხველებს რებიან ახალი წიგნის ... მათი მომზადების დონისა კის მიხედვით ურჩევენ ... მაგალითად, ბიბლიოთეკის დარბაზებში მოწყობილია ფენები: „სკკპ XXIV ყრი... გადაწყვეტილებები“, „რსფ... ორე ყრილობის 70 წლის... „მასალები ლ. ი. ბრეჟნევის ... სენებიდან სსრ კავშირის ... წლისთავზე“, „ვ. ი. ლენინი ... პროლეტარიატის ბელადი ... მასწავლებელი“, „ვლადიმერ ... აკოვსკის და გალაკტიონ ტ... დაბადების 80 წლისთავი“, ... თაისის დაარსების 3500 ... თავი“ და სხვა.

ბიბლიოთეკის მუშაკებმა ... წიგნების განხილვა დაიწყეს ... ლაქის მსხვილ საწარმოებში, ... დაც თავმოყრილია მუშა-მკ... ლთა დიდი უმრავლესობა. ... სწელ ერთ წელიწადში ... წიგნები განიხილეს აბრე... საწარმოო გაერთიანების, ფეხსაცმლის კომბინატის, ... ფონის ქარხნისა და სხვა ... მების მუშა-მოსამსახურე... ერთად, უშუალოდ წარმო... ამ ღონისძიებათა შედეგად ... ლიოთეკამ დამატებით 450 ... მკითხველი შეიძინა. ამან ... შეუწყო ხელი წარმოებისა ... ბიბლიოთეკის ურთიერთობის ... მტკიცებას, მუშა-მოსამსახურ... ცოდნის დონის ამაღლებას.

აქ ხშირად აწყობენ აგრ... თეორიულ კონფერენციებს, ... ლითად, ბამბულის საქსოვ... რიკაში კონფერენცია გაიმ... თემაზე: „სკკპ XXIV ყრი... ჩვენს ცხოვრებაში“, ქალ... № 21 და № 67 პროფტექნ... სასწავლებლებში — „ვლად... მაიაკოვსკის დაბადების 80 წ... თავი“ და სხვა.

ბიბლიოთეკის ახალგაზრდ... სექტორმა ქუთაისის საქალაქო ... მიტეტთან ერთად მუხვედრა მ... წყო ქალაქის ტექნიკური და პ...



ძველი და ახალი ქუთაისი

...სად მიმავალო ქარო...

...გზაზე კმაყოფილებით ...ებდა თავის შთაბეჭდილე... ...ავე სალამოს გამოთქვა ... მუდმივი გამოფენა მო... და დახმარება გვთხოვა. ...რასაკვირველია, სიხარუ... დავთანხმდით. სამწუხაროდ ...ტორ ტაბიძეს აღარ დასცა... თავისი ჩანაფიქრის განხორ... ებას.

...ვით შულიაშვილი,

...საქართველოს გიორგი ლეონი... ...ის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის უფ... ...ესი მეცნიერი თანამშრომელი, ...ლტურის დამსახურებული მუ... ...ოსი.

...სგარო 80 ...ლისაა

...მატურად ...ნიკური სასწავლებლების მო... ...ის გამოც... ...ე ოსტატებს და კურსდამთავ... ...ლებს ეს... ...ლებს დევიზით — „პროფე... ...დერსება... ...სწორი არჩევანი შრომითი ...ინება და ... ...ებისა და ბედნიერი ცხოვრე... ...ებს წიგნ... ...საწინდარია“.

...ოეკის ვრ... ...ბლიოთეკის თანამშრომლები ...ბილია გა... ...ალისტურ შეჯიბრებაში არი... ...IV ყრილ... ...ბმული თბილისის ალექსან... „რსდმ... ...ჯაფარიძის სახელობის სა... ...0 წლისთა... ...ერო ბიბლიოთეკის თანამშ... ...ეცნიერ... ...ებთან. ამასთან, სოციალის... ...ავშირის ... შეჯიბრება ბიბლიოთეკის ...ლენინ... ...ა სექტორსა და განყოფილე... ...ბელადი ... შორის არის გაშლილი.

...ლადიმერ ...ბლიოგრაფიულმა განყოფი... ...ტონ ტაბ... ...ამ მეთოდურ განყოფილებას... ...სთავი“, „... ...ერთად შეადგინა და ბეჭდუ... 3500 წლ... ...სახით გამოსცა ცალკეული ...ლიოგრაფიული საძიებლები: ...აკებმა ახ... ...ი და უცხოელი ავტორები ...დაიწყეს ... ...ისის შესახებ“, „გალაკტიონი ...რომებში, ... ქუთაისი“, „აკადემიკოსი გი... ...შუა-მკით... ...ჯიბლაძე“, „ქუთაისი დი... ...სობა. უკ... ...ოქტომბრის სოციალისტური ...დში ახ... ...ლუციის 50 წლისთავზე“ და ...აბრეშუმ...

...ების, ტ... ...ეე საზოგადოება „ცოდნის“ ...ტის, ლ... ...ისის ორგანიზაციასთან ერ... სხვა სა... შექმნილია ლენინური კით... ...მსახურებ... ...ლექტორიუმი, რომელიც ხში... ...წარმოებ... ...აწყობს მკითხველთა კონფე... ...ედეგად ... ...ას, ლიტერატურულ საღა... ...თ 450 მ... შეხვედრას გამოჩენილ ადა... ამან ხ... ...თან, სხვადასხვა მნიშვნე... ...რმოებისა ...თ თემაზე ლექცია-მოხსენებე... ...ერთობის ...თხვას. ...ოსმსახურე... ...ო მომავალში მთავარ ბიბ... ...ლეს ...ეკას ახალ წიგნთსაცავს მია... ...ლებას. ...ენ, რომელიც ერთ მილიონ ...ნციებს, ... დაიტევს. მკითხველთა უკე... ...საქსოფ... მომსახურებისათვის შარშან ...ია გაიხ... მონტაჟეს ელექტრომანქანა ...XIV ყრილ... ...24, რომლის დანიშნულებაა ...ის“, ქა... ...ლური და იშვიათი წიგნები- ...როფტექნ... მკითხველისათვის რამდენიმე ...ვლა... ...წერსო გვერდის გადაბეჭდვა ...ბის 80 წ... ...ღება.

...ა ჭავჭავაძის სახელობის ქუ... ...ის სახელმწიფო საჯარო ბი... ...ეკა კიდევ უფრო მეტს ...ებს წიგნით მშრომელების ...მომსახურების საქმეში.

ეთერ მესხი



არსენ ჩარკვიანის ფოტო

ქუთაისური წიგნები



საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქუთაისში რამდენიმე პატარა სტამბა არსებობდა, სადაც იბეჭდებოდა წიგნები, გაზეთები და სხვა პროდუქცია, ოღონდ ძალიან მცირე მოცულობით. 1921 წლიდან ყველა სტამბა გაერთიანეს ყოფილ საგუბერნიო სტამბის შენობაში, რომელიც შემდგომ ახალი ტექნიკით შეივსო. გაიზარდა პროდუქციის მოცულობაც. ხუთწლედების მანძილზე ქუთაისი მძლავრი ინდუსტრიის ქალაქად იქცა და შესაბამისად იზრდებოდა სტამბის მოცულობაც.

1959 წელს დაიწყო მზადება ახალი სტამბის შენობის ექსპლუატაციაში გადასაცემად. კადრების შერჩევა დამთავრეს. ახალი სტამბა, ახალი მანქანა-დანადგარები და ახალგაზრდა პოლიგრაფისტების შერჩევა დიდ მუშაობას მოითხოვდა. სტამბის მშენებლობისა და მონტაჟის პერიოდში ახალგაზრდობა, რომელსაც აქ უნდა ემუშავა, თბილისსა და მოსკოვში ეუფლებოდა პოლიგრაფისტის რთულ სპეციალობას, მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იმედები გაამართლეს, დიდი მუშაობა გასწიეს ახალი სტამბის მოწყობისა და ქართული წიგნის ლამაზად, ხარისხიანად გამოსაცემად.

დადგა 1961 წელი. სტამბის გახსნა 9 მაისს დაინიშნა. ეს დღე ყველა პოლიგრაფისტისათვის დაუვიწყარი იყო. ამ ბედნიერ დღეს განსაკუთრებით ვღელავდი, რადგან ბევრი სტუმარი გვყავდა თბილისიდან, ახლომახლო რაიონებიდან და თვით ქუთაისიდან. სტამბას საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სახელი მიენიჭა, რაც აქვე, საზეიმო სხდომაზე, გამოცხადდა. გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი ფოტოხელოვანმა დ. მხეიძემ გვიასხსოვრა. აღსანიშნავია, რომ ახალი სტამბის გახსნის დღისათვის უკვე გამოცემული გვქონდა გალაკტიონ ტაბიძის „100 ლექსის“ კრებული, რომლის ტირაჟის ნაწილი იქვე გაიყიდა. სტამბისათვის დიდი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭებამ ყველა ჩვენგანი ძალზე გაახარა.

გალაკტიონის კრებულს წამძღვარებული ჰქონდა ხუტა ბერულავას წერილი, რომლის დასასრულს იგი ამბობდა: „...სახბჭოთა საქართველოს დაარსების ორმოცი წლისთავისათვის კიდევ ერთი ძლიერი პოლიგრაფიული საწარმო ჩადგა ქართული წიგნის სამსახურში; დაე ეს დიდი პოეტის წიგნი ფეხბედნიერი მეკვლე იყოს ქართველი მესტამბეებისათვის!“.

და, მართლაც, ამ დღიდან ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა წიგნის მასობრივ წარმოებას. ამჟამად სტამბაში ყოველდღე საშუალოდ 6-7 ათასი წიგნი იკინძება, წელიწადში კი მილიონ ორასი ათასზე მეტი მზადდება. მათ შორის გამომცემლობა „განათლების“ შეკვეთით აქ იბეჭდება სახელმძღვანელოები საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის. სტამბაში დიდი რაოდენობით გამოდის მხატვრული და სხვა ლიტერატურა. ამას წინათ გამოვიდა ს. კლდიაშვილის მე-2 ტომი, ა. იოსელიანის ლამაზად გაფორმებული წიგნი „ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან“. დასაბეჭდად მზადდება და უახლოეს ხანში გამოვა თარგმანები „მსპანური ნოველა“, (თარგმანი მ. ბილბაოსი და გ. გოგიჩაიშვილისა), მ. ქაჯემის „საზარელი თეირანი“ (თარგმანი თ. გორელიშვილისა და ვ. კენკიშვილისა), ვ. ბარათაშვილის „ჰამაის გულგული“, მ. მრევლიშვილის „თხზულებანი“, ო. ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

წელიწადს დაისტამბებმა და წელიწადის დამლევამდე გამოვა ქუთაისელ ავტორთა თორმეტამდე დასახელების წიგნი.

სტამბაში ტრადიციულად გამოდის მაგიდის კალენდარი, მზადდება მატრიცები ქართული კედლის კალენდრისათვის, რომელსაც საგანგებოდ ბეჭდავს მოსკოვის პირველი სანიმუშო სტამბა. სტამბის კოლექტივი სისტემატურად აუმჯობესებს პოლიგრაფიის ტექნოლოგიას, ზრდის ხარისხს. სტამბაში იზრდება შრომისნაყოფიერება, წარმოების მოცულობა. ამჟამად ქუთაისის სტამბას გამომცემლობის სახელმწიფო კომიტეტის სტამბებს შორის პროდუქციის მოცულობის მიხედვით მე-2 ადგილი უჭირავს.

დაარსებიდან სტამბაში მუშაობს მრავალი ნიჭიერი პოლიგრაფისტი, რომლებიც კარგად დაეუფლნენ და სჯუთარ საქმედ გაიხადეს წიგნის გამოცემა — ოსტატები, მბეჭდავები, ასოთამწყობები, ლინოტიპისტები, ცინკოგრაფები, სტერეოტიპისტები, მკინძავები, მკეცავები და სხვები: ი. აბდალაძე, გ. იობიძე, კინწურაშვილი, ლ. ფურცხვანიძე, ს. კეთილაძე, დ. კვანტალიანი, ა. ფორჩხიძე, ჯ. ხუხუნეიშვილი, გ. გვენცაძე, ი. ძოწენიძე, უ. გიგინეიშვილი, მ. ჭრელაშვილი, ჯ. ჭრელაშვილი, ზ. სვანიძე, ნ. წულაია, დ. სვანიძე, რ. ფუთურიძე, ა. კოპალიანი, უ. ჩიტეიშვილი, დ. ფანცხავა, ზ. უვანია, შ. ნამჩევაძე, თ. აბზიანიძე, შ. ნადირაძე, გ. ხანთაძე, ზ. კიკვიძე, მ. ვაჩიბერიძე, ლ. სიმსიძე, ლ. ზვიადაძე, ჯ. თევდორაძე, რ. პაიჭაძე, გ. ჩოგოვაძე და სხვა მრავალი, რომელთა გონიერებითა და გულმოდგინებით საგულდაგულოდ კეთდება ქართული წიგნები.

1972-1973 წლებში სტამბის ცინკოგრაფებმა, მბეჭდავებმა ოფსეტური ბეჭდვა აითვისეს. შეიქმნა ოფსეტური ბეჭდვის უბანი. 1973 წლიდან ქუთაისელმა პოლიგრაფისტებმა შეძლეს საფუძველი ჩაეყარათ ფერადი ბეჭდვისათვის, რის შედეგად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გათავისუფლდა სიმძლავრეები მაღალი ბეჭდვის საამქროში და შესაძლებელი გახდა ყველა გარეკანის ილუსტრაციები დავამზადოთ ადგილზე, რასაც ადრე თბილისის სტამბები გვიკეთებდნენ. დღეს კოლექტივის ამოცანა ის არის, რომ სრულყოთ ფერადი ბეჭდვა, ღრმად ჩავწვდეთ და სრულყოფილად დავეუფლოთ მის ყველა საიდუმლოებას.

1973 წლის დამდეგისათვის ქალაქში აშენდა და მწყობრში შევიდა სტამბა-რედაქციის შენობა, რომელიც დამონტაჟდა ახალი მანქანა-დანადგარებით, სადაც ძველი შენობიდან გადავიტანეთ საგაზეთო-საბლანკო სტამბა. ამით გაუმჯობესდა გაზეთის ბეჭდვის ხარისხი. ქუთაისში გამოდის მრავალი გაზეთი. სტამბაში იბეჭდება ქალაქისა და რესპუბლიკური ორგანიზაციების შეკვეთები, საწიგნე და საგაზეთო სტამბები გაერთიანებული არიან ერთ მძლავრ კოლექტივად, რაც ხელს უწყობს საკითხთა ოპერატიულად გადაწყვეტას, ქმნის ხარისხის გაუმჯობესების, კადრების უკეთ გამოყენების ხელსაყრელ პირობებს.

სტამბაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენმა პოლიგრაფისტებმა წლიური გეგმის შესრულება 28 დეკემბრისათვის ივალდებულეს.

სტამბის კოლექტივის მუშაობა ყოველ წელიწადს უფრო დახვეწილი ხდება და ყველა მუშა ენერგიულად იბრძვის წუნდებული პროდუქციის მინიმუმამდე დაყვანისათვის.

სტამბის კოლექტივის 14 წევრი საუკეთესო შრომისათვის ლენინის დაბადების 100 წლისთავზე დააჯილდოვეს საიუბილეო მედლით — „შრომითი მამაცობისათვის“, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავზე სტამბის კოლექტივს სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გადაეცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელი.

ქუთაისელი პოლიგრაფისტები კვლავაც თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებაში.

დავით მანდარია,
გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქუთაისის სტამბის დირექტორი.



ოფსეტური ბეჭდვის უბანი



საამკინძაო საამქროს მზა წიგნის საკონტროლო უბანი



ახალი წიგნები

გონდო მაღლაფერიძის ფოტოები

საჩუქრებს შორის ყველაზე მეტად ერთი ალბომი მიყვარს. იგი ამ სამი წლის წინათ მისახსოვრეს ჩემმა სტუდენტებმა, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა: „სენიორა მარტინა მინტეგი ბილბაოს, ბასკ ქალს, ჩვენს ძვირფას მასწავლებელს, სიყვარულისა და პატივისცემის აღსანიშნავად“. მე მათ სამი წელიწადი ვასწავლიდი ესპანურს.

ალბომი სურათებით შევავსე და როცა ვფურცლავ, თითქოს ჩემს ბიოგრაფიას ვკითხულობო.

ბილბაო... სასტუმრო „იბერია“, ბილბაოს თავზე შემართული მთა, არჩანდა რომ ჰქვია... ჩემი ოჯახის სურათი, შუაში დედა და მამა დგანან, ირგვლივ შვილები: ვიქტორი, მათეო, ხულიანი, სეგუნდო, ხესუსა, ვისენტე, ინიაკი და მე. სურათი ამ ორმოცი წლის წინათ არის გადაღებული. მე სულ პატარა ვარ, ხუთი წლის გოგო.

უფროსებს დედა სამსახურში რომ გაისტუმრებდა, უმცროსებს ლოგინიდან წამოგვყრიდა და სათამაშოდ გაშვებამდე აუცილებლად რითიმე დაგვსაქმებდა — მე ჭურჭელს გამარეცხინებდა, ჩემს ძმას იატაკს გააპრიალებინებდა, ან ოთახებს დაგვალაგებინებდა და დაგვაგვევინებდა. გარეცხილ ჭურჭელს, რა თქმა უნდა, ხელახლა უნდოდა გარეცხვა, დალაგებულ ოთახებს — ხელახლა დალაგება, მაგრამ ეს როდი იყო მთავარი. დედა პატარაობიდანვე გვაჩვევდა საქმეს, გვინერგავდა პასუხისმგებლობის გრძნობას. ორ საათზე მთელი ოჯახი თავს ვიყრიდით სადილად. ამ მტკიცე წესს არავინ არღვევდა. საღამო ხანს მამა წიგნს გვიკითხავდა. მან საამო კითხვა იცოდა და ჩვენც პატარები სმენად გადავიქცეოდით... ლასარილიო ტორმესელისა თუ დონ კიხოტის, სანჩო პანსასა თუ დონ კლეოფასის ფათერაკებზე ვხარხარებდით, როზას, პინინისა და კორდერას განშორებისას ვღრიალებდით, კოკლ ეშმაკთან ერთად ესპანეთის ლაყვარდებში დავჭროდით და ბოლოს, ნავახშმევს, მშობლების ლოცვა-კურთხევით ვიძინებდით.

...ალბომის მომდევნო გვერდები, ბაკიოს ხედები... ბაკიო ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს, ბილბაოდან სამი საათის სავალზე. ბაკიოში დეიდასთან ვცხოვრობდი — დეიდას შვილი არ ჰყავდა და ჩემები, როგორც იქნა, დაითანხმეს, მარტოხელა მოხუცებთან მეცხოვრა.

...შემდეგ გვერდებს თვალცრემლიანი დავყურებ. სურათებზე მოჩანს დაბომბილი ქალაქები, ნაცარტუტად ქცეული სახლები, ცეცხლს ალში გახვეული მრავალტანჯული ესპანეთი...

იმ საშინელი დღეების განცდილი და მოსმენილი, ცხადი და სიზმარი ერთმანეთში მერევა... მეხსიერებასაც ბინდი გადაეკრა. არ მახსოვს, გემზე ვინ ამიყვანა, შორეულ გზაზე ვინ გამამგზავრა. მხოლოდ ბავშვებით სავსე გემი მახსოვს, საბჭოთა გემი. ვინ არ იყო აქ, სულ ნორჩები, ყმაწვილები, მოზარდები. ძუძუთა ბავშვები დედებს მოჰყავდათ. დღესაც ყურში მესმის გემზე შეთხზული გულსაკლავი სიმღერა:

ადიოს ესპანია,
ესპანია მია...

გემი ტალღებს მიაპობდა. ჩვენ კი ვმღეროდით; არა, კი არ ვმღეროდით, ვტიროდით, ვკვნესოდით, ვქვითინებდით...

ადიოს ბილბაო,
ბილბაო მიო...

დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ ლენინგრადში ჩავედით. აქ მთავრდება ჩემი ბავშვობის ერთი ხანა და იწყება მეორე, ახალი, სულ სხვა, რაც ძირფესვიანად განსხვავდება წარსულისაგან და რამაც სულ სხვარიგად წარმართა ჩემი შემდგომი ცხოვრება.

ალბომის ხუთი გვერდი მოსკოვის ახლოს მდებარე „პრავდის“ სახელობის საბავშვო სახლში ჩემს ცხოვრებას ასახავს.

ღამით მიგვიყვანეს ჩვენს ადგილსამყოფელში. ავტომანქანიდან გამოსვლისას უჩვეულო ყინვამ კინაღამ სუნთქვა შეგვიკრა. ფეხქვეშ ახალი თოვლი ჭრაჭუნებს, ფეხს ძლივს ვადგამთ. სასწრაფოდ გაგვანაწილეს ოთახებში. დაღლილებს თბილ ოთახში მაშინვე ჩაგვეძინა.

დილით ბუკის ხმამ გამოგვაღვიძა. მაშინვე ფანჯრებს ვეცით, გარედან თოვლის ჭთქათმა შემოგვანათა. ცაცხვებიდან ფიჭვის ხეები, თეთრ ნაბადწამოსხმულნი, გოლიათებივით იდგნენ.

პირი დავიბანეთ, ახალ ტანსაცმელში გამოვეწყეთ. თექის ჩექმებმა და კალოშებმა ნაბიჯი დაგვიმოკლა, დაბამბულმა პალტომ დაგვამძიმა, ყურებიანმა ქუდმა დაგვაყრუა, ხელთათმანებმა გაგვაოცა. მაგრამ, ღრმა თოვლით დაფარულ ეზოში რომ შევიკრიბენით და ცივი, ჯანსაღი ჰაერი სახეზე მოგველამუნა, გამოვცოცხლდით. ფიზკულტურის მასწავლებელმა მწყობრად დაგვაწყო და პირველად ჩვენს სიცოცხლეში დილის გამამხნევებელი ვარჯიში შევასრულეთ.

დაგვეწყო ცხოვრება, როგორიც საბჭოთა ბავშვებს ჰქონდათ: ყველა საგანს ესპანურად ვსწავლობდით, თავისუფალ დროს სხვადასხვა წრეებში ვმეცადინეობდით.

თბილამურები... რა შეედრება მას, რა კარგია და სასიამოვნო, ფაფუკ ღრმა თოვლზე გაუკვალავ გზას რომ მიჰყვები, ჯოხებს ნიჩბებივით უსვამ, ზამბარასავით იხრები და მისრიალებ...

ბიჭებს ჰოკეის კარგი გუნდი ჰყავდათ (რუსულ ჰოკეის თამაშობდნენ, მრგვალი ბურთით), მაგრამ უფრო ძლიერი ფეხბურთის გუნდი იყო. რაიონში მოსწავლეთა შორის პირველობას არავის უთმობდნენ.

ზაფხულობით ყირიმში, არტეკში ვისვენებდით. დიდ პატივში ვიყავით — ქუჩაში, ზურგს უკან, მუდამ სასიყვარულო სიტყვებს გვაგონებდნენ.

ყველაზე მეტად ცეკვის წრე მიზიდავდა. მასწავლებლად დიდი თეატრის ბალეტის ყოფილი მსახიობი გვყავდა. მისი წყალობით კარგად ვცეკვავდი ესპანურ ხოტას და „ქართულს“, რომელსაც მაშინ „ლეკურს“ ეძახდნენ. მრავალჯერ გამოვსულვართ მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე, სადღესასწაულო კონცერტების დროს.

მეზღვაურები და მფრინავები გვიწევდნენ შეფობას. საბავშვო სახლიც ორ ბანაკად იყო გაყოფილი: მეზღვაურებად და მფრინავებად. ხმის ჩახლეჩამდე ვკამათობდით, რომელი რომელს სჯობდა. ჩვენი შეფები სიმღერებს გვასწავლიდნენ, გვასაჩუქრებდნენ, თავიანთ ნაწილებში მივყავდით. ჩემები მფრინავები იყვნენ. ხშირად, დღესასწაულის დღეებში მოსკოვის ცაზე გავუსეირნებივართ. იყო მაშინ ტრადიცია — პატარა თვითმფრინავით მოსკოვის თავზე ორ-სამჯერ შემოგვატარებდნენ. მეზღვაურები კი თავიანთებს გემებით ასეირნებდნენ.

ესპანეთში აბობოქრებულმა ომმა ოთხი წელი გვაცალა და, ბოლოს, საბჭოეთში წამოგვეწია — ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

უპირველესად ესპანელი ბავშვების ევაკუაცია მოახდინეს. ჯერ ენგელსის ოლქში გაგვაგზავნეს, იქიდან სარატოვში. ომი ფეხდაფეხ მოგვდევდა. სარატოვიდან ვოლგით გამოვემგზავრეთ. სტალინგრადში მძიმე ბრძოლები იყო. საბჭოთა არმიამ ამ მძიმე დღეებში ყურადღება არ მოგვაკლო და ერთი სამგზავრო გემი დაგვითმო. 14-16 წლის, ადრე გაჭაღარავებული და დაბრძენებული მოზარდები ჩვენი პატარა სიცოცხლის მანძილზე უკვე მეორედ აღმოვჩნდით ომის ორომტრიალში.

ასტრახანში ჩავედით, იქიდან—ბაქოში, ბაქოდან—თბილისში.

თბილისში ოჭროს შემოდგომა იდგა. დაღლილებსა და გატანჯულებს თბილისურმა შემოდგომამ სითბო შემოგვფრქვია. რაღაც მშობლიური, ახლობელი იყო თბილისური ჰაერების შრიალი, თბილისური მცხუნვარე მზის სითბო და გამჭვირვალე, მტრედისფერი ზეცა. მართალია, თბილისი და ბილბაო ერთმანეთს სრულიად არ ჰგვანან, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ მშობლიური ქალაქის ქუჩებში დავდიოდი, ჩემი ქალაქის ზეცა დამწათოდა.

პირველ ხანებში ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს, სადაცაა ჩემი ქუჩის მოსახვევში გავიდოდი, ჩემს სახლს ვნახავდი, დედა და და შემომეგებებოდნენ. ყოველ შემხვედრ ქალიშვილს დას ვამსგავსებდი, ყოველ ვაჟს — ძმას...

ჩემი მეორე საშობლო



მარტინა მინტეგი ბილბაო და შვილიშვილი ნინო დავითის ასული რაზმაძე.
ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

დავბინავდით, დავლაგდით. შევეთვისეთ თბილისელებს, ისინიც შეგვეთვისნენ. ომის მძიმე დრო იყო. ყველას უჭირდა, ყველა გამარჯვებას ამბარდა თავის ძალ-ღონეს, უკანასკნელ ენერგიას, ყველაფერს, რაც გააჩნდა, რაც ებადა! მძიმე დრო იყო, მაგრამ თბილისელები მაინც ახერხებდნენ ჩვენთვის ყურადღება მოექციათ, შეძლებისამებრ ხელს გვიწყობდნენ, გვეხმარებოდნენ. ერთ საკმაოდ დიდ ქარხანაში ვმუშაობდით. ქართველები სიყვარულსა და სითბოს არ გვაკლებდნენ, ხშირად მოჰქონდათ მჟადი და ყველი, ხილი, თუ ბოსტნეული.

დამთავრდა ომი. სხვებთან ერთად ჩვენც სიმღერითა და ყიჟინით მოვეფინეთ თბილისის მოზეიმე ქუჩებს და ჩვენს „ვივას“ ვუერთებდით ქართულ „ვაშას“.

თბილისის შემდეგ წაღვერი, განსაკუთრებით მიყვარს კეჩხობის დასასვენებელი სახლი. იმ სახლში დასასვენებლად ყოფნის დროს ერთი ქართველი თბილისელი შავტუხა ვაჟი გავიცანი. მე და ის ვაჟი სულ ერთად დავდიოდით, ერთად ვცეკვავდით, ერთად დავეხეტებოდით ბორჯომსა და ბაკურიანში. დავშეგობრდით. ბოლოს აღმოჩნდა, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება არ შეგვეძლო. მეორე წელიწადს უკვე ცოლ-ქმრად ვესტუმრეთ კეჩხობს.

იმ ხანებში ესპანეთიდან ბარათი მივიღე. დიდხანს გადადიოდა ხელიდან ხელში ის წერილი, სანამ მე არ მომძებნა. ჩემი და წერდა: თუ ვინმე ხარ საბჭოთა კავშირში მარტინა მინტეგი ბილბაო, ეგეც ჩემი დაკარგული და იყო, ათი წელიწადია ვეძებთ და ვერსად გვიპოვნიაო.

გასაგებია, რა სიხარული იქნებოდა ჩემს ახლადშექმნილ ოჯახში. ჩემს ალბომში ჩემების ახალი ფოტოსურათი დევს. აგერ დედაჩემი, ჩემი და, სიძე, სეგუნდო, ვისენტე, ინიაკი... აღარ იყო მამა, აღარ იყო ხულიანი... სამოქალაქო ომის დროს დაღუპულიყვნენ.

ჩემი ქმრის ოჯახში რომ მივედი, ქართული არ ვიცოდი. მოხდა ისე, რომ დაქორწინებიდან ცოტა ხნის შემდეგ ქმარს მივლინებით მოუხდა აჭარაში წასვლა, მეც თან წამიყვანა და გურიაში თავის აღმზრდელთან დამტოვა. ერთ კვირაში ენა გავიტეხე. მერე თანდათან, შეუმჩნევლად, ვისწავლე ქართული. გურია ძალიან მიყვარს, ბევრი რამით მაგონებს ბასკეთს.

ქართული წერა-კითხვა მამამთილმა მასწავლა. იგი ძველი, გამოცდილი პედაგოგია და მეც გულისყურიანი, ბეჯითი მოწაფე გამოვდექი. ერთი კი იყო, ვერ იქნა „ღ“ და „გ“ ერთმანეთისაგან ვერ გავარჩიე.

საბჭოთა კავშირის სარბიელზე გამოჩნდნენ ესპანელები, ჩემი ტოლები და მეგობრები. განსაკუთრებით თავი ისახელეს ფეხბურთში: ავგუსტინ გომესმა, ხესუს ვარელამ... (ბასკ ფეხბურთელებზე ხომ ლეგენდები დამხვდა საქართველოში). ვის არ ახსოვს ავგუსტინ გომესი. ფეხბურთის მოყვარული არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მოსკოვის „ტორპედო“ რომ თბილისში ჩამოვიდოდა, ქმრის გვერდით მეც ვიჯექი ხალხით გაჭედილ ტრიბუნაზე. გომესი „ტორპედოს“ კაპიტანი იყო, მუდამ კორექტული, წესიერი მოთამაშე. მახსოვს, ერთხელ გომესი და ფეხბურთის ჯადოქარი ბორის პაიჭაძე, გომესზე არანაკლებ თავდაჭერილი მოთამაშე, რომელსაც თვით გომესიც ვერ უმკლავდებოდა, როგორღაც ერთად დაეცნენ, ერთმანეთს ძმებივით ხელები მიაშველეს და ერთად წამოდგნენ...

თბილისში ბევრი ესპანელი დარჩა, აქვე დაოჯახდნენ. ჩემს ოჯახში ყოველ წელიწადს, ჩემი დაბადების დღეს, თავს ვიყრით ესპანელები. განსაკუთრებით სიხალისე შემოაქვთ მოქანდაკე ლუის ფერნანდესსა და სატრიკოტაჟო კომბინატის ოსტატს დარიო სუარესს. მათი სიმღერების მოსასმენად მეზობლები ფანჯრებს აღებენ. ლუისს ცოლად რუსი ქალი ჰყავს, დარიოს — ქართველი.

ერთ-ერთ საღამოზე ჩემი ქმრის მეგობარი პოეტი მურმან ლებანიძე გვეწვია. ამ საღამომ შთააგონა მურმანს შესანიშნავი ლექსი „ესპანური კანტატა“, რომელიც მე მომიძღვნა:

ესპანეთივით მჭუხარეა ქვეყანა ჩვენი!
ესპანელებივით ფიცხნი ვართ ყრმანი!
ესპანეთივით მხურვალეა ქვეყანა ჩვენი!
ესპანელივით შავგვრემანი გიშოვეთ ქმარი!..

...1966 წელს, ოცდაცხრა წლის შემდეგ, ვესტუმრე ჩემს მშობლიურ ბასკეთს. მოვინახულე დედა, და, ძმები და ნათესავები. ჩემი ალბომი ბასკეთის ხედებითა და ნათესავების სურათებითაა სავსე. ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი სათაურით „ჩემი ბასკეთი“ დავწერე. იგი ჯერ ჟურნალმა „დროშამ“ დაბეჭდა, ხოლო ნაწყვეტი — გაზეთმა „კომუნისტმა“. 1967 წელს კი გამომცემლობა „ნაკადულმა“ ცალკე წიგნად გამოსცა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემს ამ პატარა ნაშრომს ესოდენი გამოხმაურება ექნებოდა. ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში მრავალი წერილი მოვიდა, მაგრამ ყველაზე მეტი წერილი გამომცემლობა „ნაკადულის“ საბავშვო წიგნის სახლმა მიიღო. მწერლები სრულიად უცნობი ადამიანები, მადლობას მიხდიდნენ წიგნის დაწერისათვის, მიზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, მთხოვდნენ ბასკეთისა და ბასკების შესახებ მიმეწოდებინა ახალი დამატებითი ცნობები. სალამს უთვლიდნენ ჩემს ოჯახს, ჩემს ბასკ ნათესავებს, მისურვებდნენ დღეგრძელობასა და ბედნიერებას...

შემდეგ კულტურის სახლებიდან, კლუბებიდან, ბიბლიოთეკებიდან, დაწესებულებებიდან თხოვნა მოვიდა მივსულიყავი მათთანაც, მეამბნა ჩემი ბასკეთის შესახებ...

განსაკუთრებით დამამახსოვრდა გამომცემლობა „ნაკადულის“ საბავშვო წიგნის სახლში მოწყობილი შეხვედრა, სადაც შესანიშნავი მოხსენება ბასკების და ქართველების მონათესაობის თეორიის შესახებ წაიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა შოთა ძიძიგურმა. გულთბილი იყო შეხვედრა ილია ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლში. აქაც ბასკური და ქართული ენების ნათესაობის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული მოხსენება გააკეთა პროფესორმა ილია ტაბაღუამ.

არასოდეს დამავიწყდება ზუგდიდის მასწავლებელთა სახლში გამართული შეხვედრა. ზუგდიდში მახლდნენ ჩემი მეუღლის მეგობარი ქართველი მწერლები ვანო ურჯუმელაშვილი და ლადო სულაბერიძე... პოეტმა ლადო სულაბერიძემ სიტყვა ლექსით დაამთავრა:

მე წავიკითხე ეს წიგნი
შენი,
პწკარს ასოები
ცრემლივით ჰკიდია.
წიგნი დაწერილი ქართული ენით
თბილისიდან ბილბაომდე
გადგმული ხიდია...
ჯავრით გაცრეცილი
კვლავ გელის დედა,
ჰა, ჩავიკითხე ეს წიგნიც
შენი,
იმღერე, მარტინა, ბასკური სევდა
შენი შვილების ქართული ენით.

ჩემს წიგნზე რეცენზია დაიბეჭდა ლანჩხუთის რაიონულ გაზეთში, რომლის ავტორი იყო ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი მიხეილ ვადაჭკორია. პოეტმა ქალმა ლილი ნუცუბიძემ გაზეთ „ჭუთაისში“ გულთბილი რეცენზია გამოაქვეყნა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაკვირველია, ჩვენი სასიქადულო მწერლის სერგო კლდიაშვილის წერილი იყო, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა.

შემდეგ უურნალ „დროშაში“ მწერალ თენგიზ გოგოლაძის წერილი გამოქვეყნდა „ჩვენი მარტინა“ და იქვე მოთავსებული იყო ჩემი და ჩემი ოჯახის სურათი.

დაუვიწყარი იქნება ჩვენ მხცოვან მეცნიერთან, აკადემიკოს აკაკი შანიძესთან შეხვედრა, რომელთანაც სამი საათი დავყავი. ქართველოლოგისა და ბასკოლოგის, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორ რენე ლაფონისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა, პატივცემულმა აკადემიკოსმა კეთილი სიტყვით მოიხსენია „ჩემი ბასკეთი“.

ცნობილმა მთარგმნელმა, აწ განსვენებულმა ფატა თვალთვაძემ ჩემი წიგნი რუსულად თარგმნა, რაიც ჯერ უურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ გამოქვეყნდა, მერე ცალკე წიგნად გამოიცა.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატმა ესპანური ენის მასწავლებლად მიმიწვია.

ჩემი საოჯახო ალბომი ბასკეთში ჩემი მეორედ მგზავრობის სურათებითაა სავსე. იმ სურათებში დედა აღარ ჩანს, აღარ არის ამ ქვეყნად. სამაგიეროდ ახლები მომემატნენ: დისა და ძმების შვილიშვილები.

ალბომში ბოლო სურათია — მთაწმინდის ფონზე ვჩანვართ: ჩემი მამამთილი — პედაგოგი-პენსიონერი, ჩემი მუსა — ფსიქიატრი ექიმი, რესპუბლიკის ფსიქიატრიული საავადმყოფოს განყოფილების გამგე, ჩემი ქმარი — ქართველი მწერალი, ჩემი ქალიშვილი — ბიოლოგი-გენეტიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ჩემი ვაჟიშვილი — მეცხრე კლასის მოსწავლე, ჩემი სიძე — გამომცემლობის მუშაკი და ჩემი ყველაზე დიდი სიხარული, ჩემი შვილიშვილი — ნინო, ორი წლის კუდრაჭა გოგონა...

მარად ბედნიერი იყოს საქართველო, ჩემი შვილების, შვილიშვილების, შვილთა შვილების, ჩემი კეთილი, მადლიანი, ნათელმოსილი სამშობლო, სამშობლო ძმობისა, ერთობისა და სიყვარულისა, საქართველოს დროშაზე ოქროს ვარაყით რომ არის ამოქარგული უკუნიდან უკუნისამდე, სამარადჟამოდ.

მარტინა მინტეგი ბილბაო

ქეთევანი და დე კოკები

ერთხელ, ჩვენს დიად სამშობლოში ბელგიელ ტურისტებთან ერთად მოგზაურობის დროს მე მათ მივმართე კითხვით — ხომ არაფერი იცით ქართველი დედოფლის — ქეთევანის შესახებ-მეთქი?

ეს შეკითხვა შემთხვევითი რომ იყო — გაგებული მქონდა, თითქოს მისი ნეშტის ნაწილი საქართველოდან შორეულ მიწაში იყო დაკრძალული.

შეკითხვამ ზოგი გააკვირვა — მათ არამც თუ ქეთევანზე, თვით საქართველოზეც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, ზოგი კი ისე ჩაფიქრდა, თითქოს საცაა რაიმე საინტერესოს გაიხსენებსო... ერთმა ტურისტმა კი ბეჯითად წარმოთქვა, ამ სახელს კარგად ვიცნობ, „ქეთევან დედოფლის“ ისტორია სკოლაში გვასწავლეს, ყველა სახელმძღვანელოშიც წერიაო, მისი ნეშტის ნაწილი ანტვერპენშიაო დაკრძალული...

აი განცხადება! დავინტერესდი და როცა ჩემმა სამსახურებრივმა საქმეებმა ბელგიაში ჩამიყვანა, ბელგიელებს, უკვე თამამად ვეკითხებოდი, თან იმ ტურისტის განცხადებას ვიშველიებდი.

— ის ტურისტი ანტვერპენიდან ხომ არ იყო? — კითხვითვე მპასუხებს მასპინძლებმა.

—დიახ, ის ანტვერპენიდან არის.

ტორინაში გამარჯვებულებს, რომელიც გამოაქვეყნა ურნალმა „მოგზაურობა სსრ კავშირში“. მოგზაურობის შემდეგ ისინი შინ ბრუნდებოდნენ შთაბეჭდილებათა და ფოტოების ვეება ტვირთით. სწორედ ისინი გახდნენ ჩემი უველაზე აქტიური თანაშემწეები.

თავდაპირველად მათ აღმოაჩინეს დიდი ცნობა შაჰ-აბასის შესახებ, რომელიც საქართველოს დაესხა თავს თეიმურაზ პირველის მეფობის დროს.

ამ ცნობაში ნათქვამი იყო მოწყალე ნებართვის შესახებ დასავლეთი მისიონერებისადმი, რომელთაც მის ქვეყანაში დასახლების უფლება ეძლეოდათ. იმ ხანებში აბასი დიდების ზენიტში იყო.

— მაგრამ მისი დიდება მოსვრილი იყო კახეთის დედოფლის — ქეთევანის სისხლით, — აღნიშნული იყო ცნობაში.

რამდენიმე ხნის შემდეგ, უკვე მოსკოვში, დე კოკებისაგან წერილი მივიღე. ფრანგულ წყაროებზე დაყრდნობით, რომლებშიც ძირითად დოკუმენტად გამოყენებული იყო ძველისძველი რუსული წიგნი „ჩანაწერები კახეთში ერთი მოგზაურობის შესახებ 1845 წელს“, ისინი მწერდნენ, თუ როგორ დაესხა საქართველოს შაჰ-აბასი, ქეთევან დედოფლისა და მისი შვილების ბედის შესახებ, რომლებიც ირანის მბრძანებლის ტყვეობაში მძევლებად იტანჯებოდნენ აშპარში. იტყობინებოდნენ იმის შესახებ, თუ როგორ უარყო ქართველმა დედოფალმა შაჰის მოთხოვნა — გადასდგომოდა ქრისტეს სჯულს და მიეღო ისლამი. ამის გამო დედოფალი აწამეს გახურებული შანთებით და დაუნდობლად მოაკვდინეს. ეს მოხდა შირაზში. წმინდა ავგუსტინეს ორდენის მისიონერებმა, რომლებიც მაშინ სპარსეთში იმყოფებოდნენ, მისი ნეშტი დაკრძალეს ციხის საყდრის საკურთხევლის ქვეშ და თვითონ დედოფალი კი წმინდანად გამოაცხადეს. მოგვიანებით იმავე ავგუსტინელებმა ნეშტის ნაწილი გადასცეს წამებულის შვილს, მაგრამ ქეთევანის პიროვნებისადმი თაყვანისცემის ნიშნად ნეშტის მცირე ნაწილი შირაზიდან ევროპაში გადმოასვენეს და ბელგიის ქალაქ ნამიურში დაკრძალეს.

დე კოკების წერილი გრძელი იყო. იქიდან მე მხოლოდ არსებითს გადმოგცემთ. ამასთან, გავიხსენე ნამიურიც, რომელიც რაღაცით ძალიან მაგონებს საქართველოს ბუნებას. იგი შესანიშნავი პატარა ქალაქია, არდენის მთების ძირში რომ მდებარეობს მღვრიე მდინარე მასის ნაპირებზე, ციხე-სიმაგრეებით, მონასტრებით, ბაღებითა და პარკებით, მაღალი მთის ციცაბოზე შემართული ციხე-სიმაგრით, XI საუკუნეში რომ შეუქმნიათ.

მე სულაც არ ვფიქრობ, რომ ჩემმა ძიებამ რაღაც განსაკუთრებული შემატოს ჭართულ ისტორიოგრაფიას. მეტიც — კარგად ვიცი, რომ ქართველმა მეცნიერებმა გაცილებით მეტი, ზუსტად და სარწმუნოდ იციან ქეთევან დედოფლის ბედზე.

თავს ნებას ვაძლევ ამაზე ესოდენ დაწვრილებით გიამბოთ მხოლოდ იმიტომ, რომ, ჩემის აზრით, თავისთავად საინტერესოა ის გულისხმიერება, რომლითაც სხვადასხვა ადამიანები მიუდგნენ ძიებას, რის დროსაც ისინი საქართველოთი დაინტერესდნენ.

აი რატომ იყო, რომ ჩემს მეგობრებს ივ. და ყორუეტ დე კოკებს გაუჩნდათ დიდი სურვილი ემოგზაურათ საქართველოში. და როცა „ინტურისტმა“ ისინი საბჭოთა კავშირში სტუმრად მოიწვია, კითხვაზე — სად ისურვებთო მოგზაურობას, ერთხმად განაცხადეს — საქართველოშიო.

ეს იყო შარშან ზაფხულში, მე მათ მოსკოვის აეროპორტში დავხვდი. ივ და ყორუეტი ფოტო-და კინოაპარატებით იყვნენ დატვირთულნი. დიახ, ისინი ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ ენახათ, შეესწავლათ და ემუშავათ.

ყორუეტი — მომხიბვლელი ოქროსფერთმიანი ქალიშვილი მუშის ოჯახიდან არის. სკოლაში ხატვას ასწავლის, ივი ქიმიის მასწავლებელია. ორივენი ძალზე შრომისა და ცნობისმოყვარენი არიან. მე საშუალება მქონდა თვალი მედევნებინა, თუ რა გატაცებითა და სიყვარულით ათვალიერებდნენ ისინი საქართველოს მთა-ბარს, როგორ გულთბილად საუბრობდნენ მასპინძლებთან. გამუდმებით მუშაობდა მათი ავტოკალმები, ფოტო-და კინოაპარატები. დაღლილნი, მაგრამ უდიდესი კმაყოფილების გრძნობით გაფრინდნენ ისინი სამშობლოში.

გავიდა ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული. მე კვლავ მომიხდა ბელგიაში ჩასვლა და მათთან შეხვედრა. საქართველოში მათი მოგზაურობის შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ბრიუსელში გამოდის ბელგიაში საკმაოდ პოპულარული გაზეთი „ფოლკსკრანტი“, რომელიც სოციალისტურ პარტიას უკუთვნის. გაზეთში ვნახე დე კოკების ნარკვევი — „სტუმართმოყვარე საქართველო“, რაც ათ ნომერში იბეჭდებოდა გაგრძელებებით. ავტორები მკითხველებს დაწვრილებით აცნობდნენ საბჭოთა საქართველოს ცხოვრებას, მის ულამაზეს ქალაქებს — თბილისსა და ჭუთაისს, დიდი სიყვარულით აღწერდნენ კახეთსა და კოლხეთს, საქართველოს სამხედრო გზასა და აფხაზეთს, ადამიანებს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენტებს.

გარდა ამისა, ივ და ყორუეტ დე კოკებს თავიანთი მოგზაურობის შედეგად შეუქმნიათ საათნახევრიანი შესანიშნავი ფილმი, რომელსაც დიდებული ქართული მელოდიების თანხლებით უჩვენებდა ბრიუსელის ტელევიზია.

ამ ფილმმა და საგაზეთო სტატიებმა იმდენად პოპულარული გახადა საქართველო ბელგიაში, რომ ბრიუსელის ტელევიზიამ ვიქტორინა მოაწყო საქართველოს შესახებ. ესე შევიდა ბელგიელ ტელემაყურებელთა ცხოვრებაში საქართველო.

აი რა ბევრი გააკეთა ორმა ოსტენდელმა მოკრძალებულმა პედაგოგმა ხალხთა დაახლოებისათვის. უველაფერი კი იმ ძიებით დაიწყო, რომლის შესახებაც ამ წერილის დასაწყისში მოგახსენეთ.

მ. სემიონოვა,

მოსკოვის „ინტურისტის“ მთავარი გიდი-თარჯიმანი.

სალვადორ ალიენდე!

სალვადორ ალიენდეს ერთ-ერთი პირველი დეკრეტი იყო, ბავშვებისათვის უფასოდ დაერიგებინათ რძე.

„— ბავშვებმა არ იციან ფული.
რძე უნდათ,
რძე უნდათ ჩვილებს!...
ვისთვის იწველება ფური —
ვერცხლის და სპილენძის ჩილე!“
გისმენდი,
ჩვენს შორის თუმცა
მრავალი ათასი მილია,
და რად გამახსენე უცბად
ქორესი და პანჩო ვილია.
ფასი რად მოევლტა აქციებს,
გუშინ რომ არარად აქციე?

დარჩები თვალისჩინად
ენდე,
მშრომელ ხალხს ენდე,
ენდე ცრემლიან ჩილელს,
სალვადორ ალიენდე!
ბავშვებმა არ იციან ფული,
რძე უნდათ,
მზე უნდათ ჩვილებს!

ნეტა რამ გააბერწა ფური,
პირი რამ გაუმხა მიწას,
სივრდილის თვალები მგლური
რამ ააელვარა ბილწად.
სად გაჩნდა ეს ორი ტყვია,
ეს ორი წვრტილი მკაცრი,
მაღალ შუბლს რომ ატყვია,

სალვადორ ალიენდე, —
პატიოსანო კაცო,
ადრე წასულო კაცო!


რძე უნდათ პირგამშრალ ჩვილებს,
მზე უნდა დაზაფრულ ჩილეს!...

გოგოქრობს, თარეშობს ხუნტა —
ათასი თაღლითის ხურდა
და იმ მაგნატების ხურდა,
ღამით რომ განლიეს დღე,
ჩვილებს კი მზე უნდათ,
რძე უნდათ
და ძია ალიენდე!

გახსოვს ესპანეთის მიწა?
ხურდა, ო, რარიგად ხურდა!
ვიცი, ჩე გევარას ღვიძავს
და ზვავად დაგორდება გუნდა.
ვიცი, კარლვში უდუღს ჩილელს
ძველი ესპანური სისხლი.
ვედარ მოითმენს შვილებს,
უღელს მოიშორებს ზიზღით.


რძე უნდათ პირგამშრალ ჩვილებს,
მზე უნდა დაზაფრულ ჩილეს
და ის აიმედებთ —
ცოცხლად აღდგებაო
ალიენდე!

ალექსანდრე შენგელია



გაზვიადი და შემოდგომა

მარინე მარსაგიშვილის ფოტო



საზღვრები არა აქვს მეგობრობას და არც ამ ზომალდმა იცის საზღვრები. ეს ახალი ტანკერი, რომელიც გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის სახელს ატარებს მოძმეთა ხელით არის ნაკეთები. იგი ქერჩის გემსაშენ ვერფში აიგო და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ფლოტს შეუერთდა.

„მასწავლებელი, ზოგჯერ უშვილო,

მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“

თბილისში, საბურთალოზე, ერთ-ერთ სკოლას ექსპერიმენტული ჰქვია. ეს სკოლა ემსახურება სწავლების თანამედროვე მეცნიერული პრობლემების შემოწმებასა და შეფასებას. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები აქ პრაქტიკულად ცდიან მეცნიერული აზრის სისწორეს, სწავლების ახალ მეთოდებს, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს.

როგორ ვასწავლოთ და რა ვასწავლოთ? — ამ საკითხებზე ფიქრობენ ნორჩი თაობის აღმზრდელები. ბუნებრივია, ისეთი სწავლება, როგორიც იყო 20-30 წლის წინათ, მიზანშეწონილი აღარ არის. ამიტომაც საჭიროა ძიება ახალი ფორმებისა და მეთოდებისა. სასკოლო ცხოვრების ექსპერიმენტების აუცილებლობა თვით ცხოვრებამ წამოჭრა. ექსპერიმენტული ცდების თანამედროვე პრინციპებს საფუძვლად უდევს საბჭოთა ფსიქოლოგიური თეორია, რომლის მიხედვით მოზარდში ყოველი უნარის აღზრდას გარკვეული დრო და პერიოდი აქვს. დიმიტრი უზნაძის თქმით, სწავლაში იმ კონკრეტულ მოცემულობას კი არა აქვს აზრი, რომელიც ცოდნის სახით ეძლევა მოზარდს, არამედ იმ უნარს, რომელიც ამ ცოდნის დაუფლებაში მონაწილეობს. აქედან კი გამომდინარეობს დებულება— ისე უნდა ვასწავლოთ, რომ მოსწავლეებს განვუვითაროთ მეტი ინტერესი სწავლისადმი, განვუვითაროთ ყურადღების, ანალიზის, სინთეზის, განზოგადების, დასკვნების გამოტანის უნარი.

ამ პრინციპებით ხელმძღვანელობენ და ასწავლიან თბილისის ექსპერიმენტულ სკოლაში (დირექტორი ლევან ჩიქვანაია). ამგვარად ასწავლიან ყველა სასკოლო დისციპლინას. მასწავლებლებიც ერთურთზე უკეთესნი არიან. მოგითხრობთ ერთ-ერთ მათგანზე, სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ლეილა დოლიძეზე.

• • •

ლეილა დოლიძე ჭუთაისში დაიბადა 1929 წელს. აქვე იზრდებოდა და სწავლობდა მეათე საშუალო სკოლაში.

ლეილას ინჟინრობა სურდა. როცა ნაწნავებიანი გოგონა სკოლის მერხს უჯდა, ოცნებით ლამაზ სასახლეებს აგებდა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უნდოდა სწავლა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ოცნება ვერ განახორციელა.

ლეილა დოლიძემ დაამთავრა ჭუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, შექმნა ოჯახი, მეორე ინსტიტუტად ოჯახი გადაექცა.

დღეს მის ოჯახში ან ასწავლიან, ან სწავლობენ: მეუღლე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატია, უფროსი ვაჟი მიხეილი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტია, ქალიშვილი დედის ბავშვობის ოცნებას ახორციელებს.

ლეილა დოლიძე კი ასწავლის ლენინის, გორკის, ტოლსტოის, პუშკინის ენას ქართველ ბავშვებს. იგი საქართველოს პედაგოგ-ექსპერიმენტატორია, რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის

პე-

და-

გო-

გი

(„რუსული ენის სწავლება ეროვნულ სკოლებში“) მეცნიერი თანამშრომელია. კვირაში ერთი დღე — პარასკევი ლეილა დოლიძეს თავისუფალი აქვს (თუ შეიძლება ამ დღეს თავისუფალი ეწოდოს). ამ დროს თბილისის სხვადასხვა სკოლაში ესწრება რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს. პედაგოგს აინტერესებს, რა რაოდენობით, რა დროის განმავლობაში უნდა შეისწავლონ გაფართოებული პროგრამით გათვალისწინებული მასალა მოსწავლეებმა. ამ საკითხს ეძღვნება მისი ლექცია-საუბრები, რომლებსაც იგი ატარებს რესპუბლიკაში თუ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ეროვნული სკოლებისათვის რუსული ენის სწავლების ტიპიური პროგრამა უკვე შედგენილია და დამტკიცებული. ამ პროგრამის განხილვაში ლეილა დოლიძეც მონაწილეობდა: მასთან ერთად საქართველოდან იყვნენ პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის სექტორის გამგე ალექსანდრე ნემსაძე და იმავე სექტორის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თამარ ლორთქიფანიძე. პედაგოგიკის საკითხების ქართველმა მკვლევარებმა წინადადება წამოაყენეს, რომ ქართულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროგრამებში შეეტანათ ის რუსი მწერლები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით თუ ცხოვრებით დაკავშირებული იყვნენ საქართველოსთან.

შარშან ლეილა დოლიძე მონაწილეობდა აგრეთვე საკავშირო სემინარ-კონფერენციაში, რომელიც ქალაქ ულიანოვსკში გაიმართა. მის მოხსენებას „ლენინის თემა რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ქართულ სკოლებში“ კარგი შეფასება მისცა ყურნალმა „ლიტერატურა ვ შკოლე“.

ამის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა მინსკში მოწყობილი მესამე სრულიად საკავშირო პედაგოგიური კითხვა. ლეილა დოლიძემ აქაც საინტერესო მოხსენება წაიკითხა, დაიმსახურა ქებების სიგელი და პედაგოგიური კითხვის ლაურეატი გახდა.

რესპუბლიკური ექსპერიმენტული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ზოგიერთ კლასში რუსულ ენასა და ლიტერატურას გაძლიერებული პროგრამით სწავლობენ. რუსული ენის ფაკულტატური სწავლების კურსის პროგრამა მიზნად ისახავს უზრუნველყოს მოსწავლეთა ცოდნის უფრო მაღალი დონე. ფაკულტატურ კურსში შეტანილი საკითხები ხელს უწყობს მოსწავლეებში კონკრეტული საგნისადმი ინტერესის გაღვივებას, საგნის დასაუფლებლად პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

ლეილა დოლიძე მეათე პირველ კლასში დამატებით მეცადინეობებს ატარებს ხოლმე. ამ კლასში ჩვეულებრივი პროგრამით გათვალისწინებული 3 საათის ნაცვლად კვირაში 6 საათს მეცადინეობენ. მოსწავლეები მუშაობენ სალაპარაკო ენის დახვეწაზე, თვითონ აკეთებენ გრამატიკული ფორმების ანალიზს, ადგენენ შესაფერის სასაუბრო ტექსტებს.

პედაგოგი თავის გამოცდილებას სხვებსაც უზიარებს. ლექციებს კითხულობს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე.

ჯემალ ჟურხული



ლეილა დოლიძე მეათე პირველ კლასში
დიმიტრი მძინარიშვილის ფოტო

დედაენის მასწავლებელს

ბორის კანდელაკს

შენ მასწავლე ჩემი მრის
ენა ტკბილი, დიადი,
შემაყვარე ჩემი ქვეყნის
ღამე და განთიადი,
საქართველოს წარსული და
მომავალი ზვიადი.
შემაყვარე ჩემი ქვეყნის
მინდორი და ველი,
საქართველოს მთა და ბარი,
ხვავი დაუთვლელი.
შემაყვარე, ვისაც უყვარს
მშობლიური მხარე,
ვისაც უყვარს შრომული და
დივლი-დალალალე.
შემაყვარე რუსთაველის
დიდი „ვეფხისტყაოსანი“,
ლექსის წერა თუ გავბედე,
ამისიც ხარ თაოსანი.
ამიტომაც შეგიყვარეთ,
პატივსაც გცემთ ყველა,
სიყვარულით გახსენებენ
რუსიკო თუ ლელა;
გია, ლალი და ზვიადი,
ნინო, სოსო, გელა —
ჰა, თქვენს დღეგრძელობას ვამბობთ
სათითაოდ ყველა.

ლია მაისაშვილი,
თბილისის 47-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

აღმგრდელები

ლაშა გარეჯელი

◆

ცრემლს ვერ იოკებდნენ. მათ შემყურეთ კი ჩვენც სატირლად გვითრთოდა ტუჩები. დედები მასწავლებლები იყვნენ.

მაშინ სხვა დრო იყო...

მასწავლებლები ხალხთან ერთად დადიოდნენ ტყე-მინდორში სამუშაოდ. გვიტარებდნენ გაკვეთილებს და დროსაც პოულობდნენ ჩვენთან სასაუბროდ, გვასძლები და შვილები. მათ ჩვენივე მასწავლებლებიც ასწავლიან, ჩვენც გასწავლით, ჩვენი თაობაც. სახელმძღვანელოები უკეთესზე უკეთესები აქვთ, ლამაზად აცვიათ და ახურავთ. ისეც მეჩვენება ხოლმე, რომ ბალღობაც უფრო ლაღი იცის ეხლანდელმა თაობამ.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ შეიცვალა ამ ოც წელიწადში, ოღონდ... მარად დარჩნენ ქეთევან, გოგი, დავით მასწავლებლები. — ერთი ისევ ყველაზე სამართლიანი და კეთილია მოსწავლეებისათვის. მეორეს ისევ ის ბალღური სული უტრიალებს. მესამისა ისევ საარაკოდ სწამთ და ერიდებათ.

თითქოს ჩემს ნაცნობ მასწავლებლებზე გესაუბრებით, მაგრამ არა, ესეთნი არიან მასწავლებლები ყველა სკოლაში.

შეგვხვდებიან და ისევ მოწიწებით ავიტუზებით, როგორც ოდესღაც. შეგვეკითხებიან და ჩვენს ამბავსაც ისევე ვუყვებით, როგორც გაკვეთილს. თითქოსდა გულის სიღრმეში ვფიქრობთ ხოლმე, რას იტყვის მასწავლებელი ჩემს ცხოვრებაზე? რა ნიშანს დამიწერს? დიდი ხანია სკოლის მერხებს დავემშვიდობეთ, მაგრამ მაინც გვჯერა, რომ მასწავლებლები ისევ ყოველდღიურად გვიწერენ ნიშნებს.

რედაქტორი
გივი კარგელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66188

ფასი 5 კაპ.